გაზეთი ბიეჭრია. „ვერსია“ ერთი

ვერსია

№38 (1580) 20-26 ოქტომბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვახტანგ კალოიანი: „ძალიან მძიმე ნოემბერ-დეკემბერი გველოდება“

რა არის და როგორ ვებრძოლოთ „თვინდემიას“

მართლა გააუპატიურა თუ არა 53 წლის მამაკაცმა შვილიშვილი 125-ჯერ

მეზობლების ჩვენებები და სკანდალური ინტერვიუ ადვოკატთან

50 მილიონის საიდუმლო – როგორ მოატყუა სააკაშვილის ხელისუფლებამ ეკლესია

30 ოქტომბერი – ახალი პოლიტიკური ერის დასაწყისი თუ მხარდამჭერთა მობილიზების სატყუარა

ლევან ალაფიშვილი: „ოცნება“ 2020 წლის შემდეგ გაფორმებულ ლეგიტიმაციას ინარჩუნებს“

„ჩემი სამშობლოს პრეზიდენტმა საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე უარი თქვა, რაც უხერხული და მტკივნეულია“

აბაზანაში ნაპოვნი 26 წლის გოგონას გვამი და მკვლელის აღიარება

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე პილპილით

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

თბილისელმა მეეზოვემ საშიში ბანდის ორი წევრი სადისტურად მოკლა, ერთი კი დაჭრა

რატომ იძია შური ხეიბარმა ჯან-ღონით სავსე კაცებზე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აშშ-სა და კანადაში საქართველოს მოქალაქის უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყანაში საქართველოს მოქალაქის უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნის ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული დ.ს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს უკავშირდებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში არალეგალურად გამგზავრებისა და უკანონოდ დარჩენის მსურველი საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც დ.ს., გარკვეული თანხის სანაცვლოდ, საჭირო დოკუმენტებს გადასცემდა. მეტიც, აშშ-სა და კანადაში გამგზავრებისა და უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამის პირობებს უქმნიდა.

სამართალდამცველებმა, საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დ.ს.-ის დანაშაულებრივი ქმედების ფარული ვიდეო-აუდიო გადაღება და სატელეფონო მიყურადება განახორციელეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს, 16 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, აშშ-ში არალეგალურად გამგზავრებაში დახმარებას დაჰპირდა და წინასწარ 4000 ლარი გამოართვა.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, საქართველოს მოქალაქის 76 პასპორტი, 3 საბანკო პლასტიკური ბარათი, 2 მეხსიერების ბარათი, კომპიუტერული ტექნიკა, 2 მობილური ტელეფონი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშაულება „მარიხუანა“, დოკუმენტების დასამზადებელი დანადგარი და დოკუმენტები ნივთმტკიცებად ამოიღო.

საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 344 პრიმა-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

პოლიციამ სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და ორი პირი დააკავეს.

სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ადიგენის მუნიციპალიტეტში დააკავეს თ.ღ., რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს კალაშნიკოვის სისტემის „აკს“-ის მოდელის ავტომატი.

რაც შეეხება მეორე პირს, 1989 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ რ.მ.-ს, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 14 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ გურჯაანში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების და გურჯაანის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1950 წელს დაბადებული ა.ზ. ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანში, სამეზობლო დავის ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით მეზობლად მცხოვრებ ბიძაშვილსა და მის მეუღლეს – გ.ზ.-ს და მ.ზ.-ს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ა.ზ., ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან მალევე, სოფელ გურჯაანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინდორში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – გლუვლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შიდა ქართლის პოლიციამ გორში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხუთი პირი დააკავეს, მათ შორის, სამი პირი წარსულში, სხვადასხვა დანაშაულისთვისაა ნასამართლევი.

2002 წელს დაბადებულ ზ.ფ.-ს, 2004 წელს დაბადებულ გ.ო.-ს, 2001 წელს დაბადებულ გ.ქ.-ს და 1993 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს, დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედებათ ბრალად, რაც 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო 1997 წელს დაბადებული ვ.ო., პოლიციამ დააკავა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, რაც 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს, ბრალდებულები, ქალაქ გორში მდებარე ერთ-ერთ მიწისქვეშა გადასასვლელში ალკოჰოლურ სასმელს სვამდნენ, მათ უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1993 წელს დაბადებულ ტ.კ.-ც შეუერთდა. ბრალდებულებმა მოგვიანებით, ტ.კ.-სთან ერთად, გორში მდებარე ერთ-ერთ ბარში გადაინაცვლეს და ალკოჰოლის მიღება განაგრძეს, რა დროსაც, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებულ პირებსა და ტ.კ.-ს შორის, სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. აღნიშნული დაპირისპირების შემდგომ, კონფლიქტში მონაწილე პირები გორში, მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდნენ, სადაც ზ.ფ.-მ, გ.ო.-მ, გ.ქ.-მ და გ.ბ.-მ, ტ.კ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და უგონო მდგომარეობაში მყოფი ტ.კ., დანაშაულის დაფარვის მიზნით, მტკვარში გადააგდეს. ჩადენილი დანაშაულის შემდგომ, ბრალდებულები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დაკავებულების დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციას ფლობდა ბრალდებულის სახით დაკავებული ვ.ო., თუმცა მან ამის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

ტ.კ.-ის ცხედარი მდინარე მტკვარმა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის მიმდებარე ტერიტორიაზე გამორიყა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულში მონაწილე პირების ვინაობა დაადგინეს და ისინი ბრალდებულის სახით დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

50 მილიონის საიდუმლო – როგორ მოატყუა სააკაშვილის ხელისუფლებამ ეკლესია

ნინო დოლიძე

30 ოქტომბრის ციებ-ცხელება თანდათან აქტიურ ფაზაში შედის, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ტურისთვის მმართველი პარტიაც ემზადება და ენმ-ც. რომელს უფრო უკეთესი სასტარტო მდგომარეობა აქვს? – ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს ანუ ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ 30-ში მათი კანდიდატები ოლიმპოზე ავლენ. ისე, ადგილობრივი არჩევნების თუნდაც მეორე ტურში გამარჯვება პოლიტიკის კი არა, უფრო ღირსების საკითხია, რადგან იმის მიუხედავად, თუ რა ფერის დროშა აფრიალდება დიდი ქალაქების თავზე, ცენტრალური ხელისუფლება არ შეიცვლება.

30 ოქტომბერი – ახალი პოლიტიკური ერის დასაწყისი თუ მხარდამჭერთა მობილიზების სატყუარა

ეს ოპოზიციამაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ 30 ოქტომბერს ისე საკრალურად წარმოადგენს, პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი იფიქრებს, ამ დღეს მეორედ მოსვლა დაიწყებაო, მაგრამ ქალბატონებო და ბატონებო, სჯობს, ამთავითვე გავაცნობიეროთ, რომ 30 ოქტომბერიც ჩვეულებრივი კალენდარული დღეა და თუნდაც პოლიტიკურად არაფერი შეიცვლება.

რატომ? – რატომ და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხალხი პოლიტიკის და, მით უმეტეს, ოპოზიციის მიმართ ნიჰილისტურად არის განწყობილი. კი ბატონო, ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამ და მისმა დაკავებამ გარკვეულ ელექტორატში „ნაციონალური ემოციები“ გააღვიძა, მაგრამ ასეთი ამომრჩეველი, გაწიე-გამოწიე, 50-დან 80-ათასამდე მერყეობს (ყოველ შემთხვევაში, ცალკეული ექსპერტები სწორედ ამ რიცხვს ასახელებენ), თანაც ისიც ყურადსაღებია, რომ ამ 50 თუ 80 ათასიდან ყველა იმ 20 ქალაქის მკვიდრი არაა, სადაც მეორე ტური უნდა ჩატარდეს.

სხვათა შორის, 2 ოქტომბრის არჩევნებზე კიდევ ერთი 80 ათასი ადამიანის, ასე ვთქვათ, სელექცია მოხდა ანუ ადამიანები, რომლებსაც მმართველ გუნდზე პირადი თუ სხვა მოსაზრებებით გული აცრუებული ჰქონდათ, ექსპრემიერისკენ გადაპორტირდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ გახარია მაინც „ოცნების“ წიაღში შექმნილი პერსონაა, თუმცა არჩევნების შედეგებმა, ესე იგი, მეორე ტურმა გახარიას მიმდევრები დააფიქრა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არჩევანი ან ენმ-ზე უნდა გააკეთონ ან „ოცნებაზე“. ვერ ვიტყვით, რომ ყველა, მაგრამ ექსპრემიერის მომხრეთა დიდი უმეტესობა ხმას, დიდი ალბათობით, „ოცნების“ მერობის კანდიდატებს მისცემს, მით უმეტეს, რომ გახარიამ საკუთარ მომხრეებს, ასე ვთქვათ, არჩევანის უფლება მისცა ანუ მას კატეგორიულად არ უთქვამს, ხმა ენმ-ს ან „ოცნების“ წარმომადგენლებს მიეცითო.

მაშასადამე, უხეში გათვლებით, გამოდის, რომ გახარიას მხარდამჭერები მეორე ტურში „ოცნებისკენ“ გადაპორტირდებიან.

აქვე, მნიშვნელოვანია ეკლესიის როლიც. მართალია, საპატრიარქო მკვეთრ პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს, მაგრამ არსებობს ერთი დეტალი.

კერძოდ, პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილს რამდენიმე უმაღლესმა სასულიერო პირმა მხარდაჭერა გამოუცხადა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ექსპრეზიდენტის გათავისუფლების მოთხოვნით შექმნილ პეტიციას ხელი მოაწერა, თუმცა საპატრიარქომ მალევე თქვა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული სასულიერო პირების პირადი მოსაზრებაა და არა – მთელი ეკლესიის.

აქვე, რამდენიმე დღის წინ, მოსაყდრე შიო მუჯირის მიერ გაკეთებული განცხადებაც უნდა გავიხსენოთ.

„მინდა, თქვენი ყურადღება იმაზეც გავამახვილო, რომ აქ ჩამოთლილი ხერხების გარდა, ბოროტება ზოგჯერ სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღვკვეთოთ და შევაჩეროთ.

დღეს საუბრობენ საყოველთაო შერიგებაზე. სხვათა შორის, ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე. ასეთი რამ სახარებაში არ გვიწერია და, გარდა იმისა, რომ სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღიკვეთოს ბოროტება, ასევე ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებშიც, უნდა მოვიკვეთოთ ასეთი ადამიანი, პირად მტერზეა საუბარი, მოვიკვეთოთ ჩვენი ცხოვრებიდან ან საზოგადოებიდან“, – განაცხადა პატრიარქის მოსაყდრემ საკვირაო ქადაგებისას.

მართალია, მეუფე შიოს პირადად სააკაშვილი არ უხსენებია, მაგრამ ბავშვიც კი მიხვდა, რომ ის ექსპრეზიდენტს გულისხმობდა. მოსაყდრეს პასუხი სააკაშვილმა გასცა და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ასეთი თავდასხმების მიუხედავად, დედა ეკლესიის მიმართ ცუდად არ განეწყობა.

ისე, სააკაშვილისგან დედა ეკლესიაზე აღმატებით ხარისხში საუბარი ცოტა უცნაურია, რადგან ყველას კარგად ახსოვს, ენმ-ს მმართველობის დროს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გლდანის ეკლესია როგორ ვანდალურად დაანგრიეს.

ისე, სიტყვამ მოიტანა და, 19 ოქტომბერს, სხალთელმა ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა დიდ საიდუმლოს ახადა ფარდა ანუ მეუფემ ის რეალური მიზეზი დაასახელა, რის გამოც სააკაშვილის მთავრობასა და საპატრიარქოს შორის დაპირისპირება დაიწყო.

„25 000 000 რა არის? ამდენი ადამიანი მუშაობს, ემსახურება დედა ეკლესიას. მივედი და ვთხოვე, ასეა და 50 000 000 უნდა გახადოთ-თქო. ბევრი სიარული დამჭირდა, თუმცა ბოლოს მითხრეს, რომ გავზრდითო. ხელი ჩამოვართვით, ამის შემდეგ პატრიარქს ვახარე, საქმე გაკეთებულია-თქო. დავდივარ ეკლესიის ეზოში და ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე მირეკავს, ბიუჯეტს ვინც განაგებს და მეუბნება, ჩვენ 50 000 000 მილიონი არ გვაქვს და იმ 25 000 000-ს 2.5 მილიონს კიდევ მოვაკლებთო“, – განაცხადა მეუფე სპირიდონმა.

მოკლედ, ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ ეკლესიის ადმინისტრაცია სააკაშვილის პატიმრობის მიმართ მაინცდამაინც აგრესიულად არაა განწყობილი, რაც მრევლისთვის ერთგვარი სიგნალი უნდა იყოს.

ასეა თუ ისე, წინ 30 ოქტომბერია, დღე, რომელსაც მთელი პოლიტიკური სპექტრი ისე ელოდება, როგორც ახალ წელს. იმას, რომ მმართველ პარტიაში მობილიზებაა გამოცხადებული, პრემიერიც არ უარყოფს.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა მუნიციპალიტეტში ვიმარჯვებთ და გავიმარჯვებთ. ჩვენ მშვიდი, თავისუფალი არჩევნები უნდა ჩავატაროთ. უნდა იყოს სანიმუშო და სამაგალითო ისე, როგორიც იყო პირველ ტურში, რომ დესტრუქციულ ოპოზიციას არ მივცეთ რამე პროვოკაციის მოწყობის საბაბი. ბუნებრივია, სრული მობილიზება გვაქვს გამოცხადებული იმისთვის, რომ მაქსიმალურად მშვიდ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარდეს არჩევნები და ქვეყანამ და მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ დაისვენოს იმ საბოტაჟისგან, რომელიც მჩაგვრელი, მოძალადე სააკაშვილის პარტიისგან მომდინარეობს. სრული მობილიზება კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი არცერთი ამომრჩეველი არ დარჩეს არჩევნების დღეს სახლში. ბევრ მუნიციპალიტეტში, ჩვენი ძალიან ბევრი ამომრჩეველი არ მივიდა არჩევნებზე იქიდან გამომდინარე, რომ მათ სჯეროდათ და ჩვენს გამარჯვებაში იყვნენ დარწმუნებულები. მინდა, ჩვენს ამომრჩეველს მივმართო, რომ არცერთი არ დარჩეს არჩევნების დღეს სახლში. ყველანი მივიდეთ და ხმა მივცეთ ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას“, – განაცხადა პრემიერმა 19 ოქტომბერს.

პრემიერამდე კი იგივე საჯარო მოხელეებს პატიმრობაში მყოფმა სააკაშვილმა მიმართა.

„მინდა გთხოვოთ, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს შვილები ხართ და როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, გსურთ თავისუფალ, დემოკრატიულ, დაცულ და განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თქვენი კეთილდღეობა. ის, რასაც თქვენ გაკეთებინებენ, ეწინააღმდეგება სწორედ ამ მიზნებს და უფსკრულისკენ მიაქანებს ჩვენს სამშობლოს. ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, უარი თქვით არა მხოლოდ აქტიურ გაყალბებაზე, არამედ, თვალის დახუჭვაზეც, თქვენს თვალწინ მიმდინარე გაყალბებაზე. უარი თქვით ქართულ ოცნებაზე და აირჩიეთ სამშობლო, რომლის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება დღეს ოპოზიციის არჩევაზე გადის“, – ნათქვამია სოცქსელში, სააკაშვილის სახელით გავრცელებულ განცხადებაში.

მე არც ოპოზიციის ლიდერი ვარ და არც – ხელისუფლების წარმომადგენელი. შესაბამისად, მხოლოდ ერთ რამეს გირჩევთ – არჩევნებში მონაწილეობა თითოეული ჩვენგანის სამოქალაქო ვალდებულებაა. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, „იმისტი“ ხართ თუ „ამისტი“, თუ თქვენს ქალაქში მეორე ტურია, 30-ში საარჩევნო უბანზე აუცილებლად წადით, რადგან თქვენი ხმა არ დაიკარგოს.

ასე რომ, გონივრულ არჩევანს გისურვებთ!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ვახტანგ კალოიანი: „ძალიან მძიმე ნოემბერ-დეკემბერი გველოდება“

რა არის და როგორ ვებრძოლოთ „თვინდემიას“

კორონავირუსის პანდემიის პარალელურად, მეცნიერები ახალ საფრთხეზე – „თვინდემიაზე“ ალაპარაკადნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კორონავირუსის მორიგი ტალღა, სავარაუდოდ, სეზონურ დაავადებებს დაემთხვევა. „თვინდემიის“ შესახებ პუბლიკაციას BBC ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, შესაძლოა, წელს „თვინდემიამ“ რევანში აიღოს და ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მნიშვნელოვნად გაართულოს, რასაც ათობით და ასობით ათასი ადამიანის გარდაცვალება მოჰყვება. ამ მოვლენას ეპიდემიოლოგებმა „თვინდემია“ (twins – ტყუპები) უწოდეს. რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო ეპიდემიოლოგიური კუთხით? – „ვერსია“ სამედიცინო საკითხების ექსპერტ ვახტანგ კალოიანს ესაუბრა:

– პანდემია ჩვენთან დრამატულად აქტიური გავრცელების ფაზაშია. გვაქვს მაღალი ინფიცირების რისკი, ასევე, მაღალია გავრცელების კოეფიციენტით დადებითობის მაჩვენებელი და რაც ყველაზე ცუდია, საკმაოდ მაღალია სიკვდილობა.

პროგნოზიც საკმაოდ მძიმეა, რადგან ჩვენი მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილი ისევ აუცრელია.

ეპიდემიის მეხუთე ტალღას ოქტომბრის ბოლოს, ან ნოემბრის დასაწყისში ველოდებით და ამის მთავარი მიზეზი, სწორედ აუცრელ საზოგადოებაში მობილობის მკვეთრი ზრდაა. ეს კლასიკური მიზეზია ყველა, მათ შორის, კოვიდეპიდემიისა.

– ამ ფონზე, გარკვეული ჯგუფებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო ხომ არ უნდა გახდეს?

– ჯერ კიდევ მაისში წამოვაყენეთ გეგმა, რომელიც შედგება რამდენიმე პუნქტისგან, ესენია: აცრაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ძირითადად, მობილური ჯგუფების ხარჯზე; აქტიური საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანია, ვთქვათ, კარდაკარის პრინციპით, სადაც ექიმები და ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ვაქცინაციაზე და შეუძლიათ, ჩვენს მოქალაქეებს პასუხი გასცენ ყველა კითხვაზე, მივლენ მოქალაქეებთან; სავალდებულო ვაქცინაცია ან სავალდებულო ტესტირება სპეციფიკური ჯგუფებისთვის – ესენი არიან ექიმები და საავადმყოფოში დასაქმებული ადამიანები, პოლიცია, სახანძრო, საჯარო მოხელეები, პედაგოგები, კვების მრეწველობაში დასაქმებულები, ისინი, რომლებიც რისკ-ჯგუფში შედიან და შეხება აქვთ საზოგადოების ფართო ფენებთან; ასევეა ფინანსური სტიმულაცია, რომელიც გამოიხატება აცრილი მოქალაქეებისთვის საშემოსავლო გადასახადის სამი თვით გაუქმებაში – ეს არის ის პუნქტები, რომელთა თავის დროზე განხორციელება მოგვცემდა აცრილი ადამიანების ძალიან მნიშვნელოვან ზრდას.

– ბატონო ვახტანგ, რას ნიშნავს „თვინდემია“ და რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო სეზონური ვირუსების გააქტიურების თვალსაზრისით?

– „თვინდემია“, სიტყვა-სიტყვით, ნიშნავს დატყუპებას, ეს არის კოვიდისა და ბანალური გრიპის ინფექციის თანხვედრა ანუ ერთდროული გავრცელება.

შარშან გრიპის გავრცელების ნაკლები შემთხვევები გვქონდა და ამას ლოგიკური ახსნაც აქვს – მეტ-ნაკლებად, დაკეტილ ვითარებაში ვიყავით, ნიღბის გამოყენებაც საკმაოდ მაღალი იყო. ახლა კი ასე არ ხდება, მსოფლიოც ნელ-ნელა იხსნება ვაქცინირებული ადამიანების ხარჯზე და უფრო აქტიურად იწყებს გავრცელებას ბანალური გრიპის ვირუსი, რომლის პრევენციის გზაც, ასევე, ვაქცინაციაა.

აქაც საკმაოდ რთული ვითარებაა – გრიპის სულ 43 000 ვაქცინა გვაქვს, რაც რეალურად, მხოლოდ ექიმებისთვისაა და ასევე, შექმნის პრობლემას.

– ბატონო ვახტანგ, ვაქცინაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თუ არა, რომ საქართველოში კოვიდვაქცინის მსგავსად, გრიპის ვაქცინაც უფასო იყოს?

– ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს! რა თქმა უნდა, სპეციფიკური ჯგუფებისთვის უნდა იყოს უფასო, თუმცა არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც შეუძლია დაფინანსება, მაგრამ ფიზიკურად არაა ხელმისაწვდომი ანუ გამოწვევა ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან ერთად, ფიზიკური ხელმისაწვდომობის დეფიციტიცაა.

– გრიპის ვაქცინაზე დეფიციტი მსოფლიოშია?

– ცუდი ორგანიზების გამო, რატომაც არ გვქონდა კოვიდის ვაქცინა თავის დროზე, ძალიან დავაგვიანეთ და ივლისამდე ვერ დავიწყეთ ვაქცინაცია, აქაც ზუსტად იგივე მიზეზია.

მსოფლიოში გრიპის ვაქცინაზე გარკვეული დეფიციტია, თუმცა ის ქვეყნები, რომელთაც ეფექტური ხელისუფლება ჰყავთ, ახერხებენ ყველაფერ ამის ორგანიზებას.

– „თვინდემიის“ პირობებში, როცა კოვიდთან ერთად, შესაძლოა, სხვა სეზონური ვირუსებიც გააქტიურდეს, რა პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ, როგორი ზამთარი გველის?

– თუ ვაქცინაციას ამ ტემპით გავაგრძელებთ, ძალიან მძიმე ნოემბერ-დეკემბერი გველოდება. ინფიცირების მაღალი რისკია და რომ შევადაროთ, ყველა წინა ტალღა დაიწყო შედარებით დაბალი ნიშნულიდან ანუ საწყის ეტაპზე, ინფიცირებულთა რაოდენობა შედარებით ცოტა იყო, ახლა კი ვხედავთ, რომ 4000-5000 გვაქვს სასტარტო პირობები, რაც ძალიან მძიმე პროგნოზის საფუძველია.

წარმოდგენა მიჭირს, რა შეიძლება, მოხდეს ნოემბერ-დეკემბერში.

– არსებულ ტალღას „ლოქდაუნი“ შეაკავებს?

– „ლოქდაუნს“ საკმაოდ ხანმოკლე ეფექტი აქვს. ის რეალურად გამოიყენება მხოლოდ ძალიან მძიმე ვითარებაში, როცა ჰოსპიტალური სექტორი არაა მომზადებული და ადეკვატური რაოდენობის აღჭურვილობა, მედიკამენტი არ არსებობს; ექიმები და საექთნო პრსონალი არ გვყავს; როცა ვირუსის გავრცელება ძალიან მაღალია. ამ ეპიდემიისთვის დამახასიათებელია ის, რომ მისი პროგნოზირება და მისი წინასწარი გათვლა ძალიან მარტივადაა შესაძლებელი, უბრალოდ, გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული ინდიკატორების მიხედვით. მაგალითად, სკოლის გახსნა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ გვქონდა ინდიკატორი, რომ იმ შემთხვევაში გავხსნიდით სკოლებს, თუ დადებითობის მაჩვენებელი იქნებოდა 4%.

ახლა ვხედავთ, რომ 6.7%-ზე გაიხსნა სკოლები, რაც რა თქმა უნდა, აუარესებს ვითარებას.

თუ ვმართავთ პანდემიას ეპიდემიოლოგიური ინდიკატორების მიხედვით და ამაში საარჩევნო პოლიტიკას არ გავურევთ, რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგები გვექნება.

ლევან ალაფიშვილი: „ოცნება“ 2020 წლის შემდეგ გაფორმებულ ლეგიტიმაციას ინარჩუნებს“

„ჩემი სამშობლოს პრეზიდენტმა საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე უარი თქვა, რაც უხერხული და მტკივნეულია“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

14 ოქტომბერს, „თავისუფლების მოედანზე“, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მასშტაბური აქცია გამართა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან პარტიის მხარდამჭერები შეუერთდნენ, თუმცა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქცის სხვა ოპოზიციური პარტიები გაემიჯნენ. წინ კი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურია და 30 ოქტომბერს გაირკვევა, რა არჩევანს გააკეთებს საქართველოს დიდი ქალაქების მოსახლეობა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესაფასებლად, „ვერსია“ ანალიტიკოს ლევან ალაფიშვილს დაუკავშირდა.

– ბატონო ლევან, აქციაზე საკმაოდ ბევრი ადამიანი მივიდა და იმ ფონზე, როცა მიხეილ სააკაშვილი შიმშილობას არ წყვეტს, მოვლენების როგორ განვითარებას პროგნოზირებთ?

– არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ თუ ვინმეს ეპარებოდა ეჭვი, რომ „ქართულ ოცნებას“ ან ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დრამატულად შეუმცირდა მხარდამჭერი, ყველაფერ ამას გაეცა პასუხი და დადასტურდა, რომ ორივე ძალას ჰყავს საკმაოდ დიდი რაოდენობის – ასეულათასობით მხარდამჭერი. ნახევარმილიონიანი მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური გაერთიანება რომ შეძლებს ელექტორატის მობილიზებას, ამაშიც არავის უნდა შეეპაროს ეჭვი. ფაქტია, რომ აქვთ ამ პოლიტიკურ ძალებს მხარდაჭერა და ქუჩაში აქციებს შეძლებენ, მაგრამ პრობლემა სხვა რამეშია – რატომღაც, პოლიტიკური მოთამაშეები გადასულნი არიან არა საგნობრივ საკითხებზე, არამედ, მარტივ არითმეტიკაზე, რომელს უფრო მეტი ამომრჩეველი უჭერს მხარს ან რომელი უფრო მეტ ხალხს გამოიყვანს ქუჩაში.

30 წელია, საქართველოში ასე კეთდება პოლიტიკა და ეს უნდა დასრულდეს!

რაც შეეხება მოლოდინებს, ბუნებრივია, ამას ექნება გაგრძელება და შედეგი, მით უმეტეს, როცა მმართველი პოლიტიკური ძალა, ჯერჯერობით, ინარჩუნებს 2020 წლის შემდეგ გაფორმებულ ლეგიტიმაციას და როდესაც თვითმმართველობის საბოლოო შედეგები გამოცხადდება, ამის შემდეგ უნდა ველოდოთ ქცევის ცვლილებებს, როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის, ასევე, ოპოზიციურ ფლანგზე, თანაც არა მხოლოდ ენმ-ის, არამედ, წვრილი ან ახალი პოლიტიკური ძალების მხრიდან.

ბუნებრივია, ვისურვებდი, რომ არა მხოლოდ პოლიტიკური აქტორები იყვნენ პროცესების განმსაზღვრელნი, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაც, რადგან პარტიები მოქალაქეების გარეშე არ არსებობენ. ამიტომ, პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური და მხოლოდ ასეთი კონსოლიდაციითაა შესაძლებელი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტა.

– პატარა პარტიები ისევ „ოცნებისა“ და ენმ-ის დაპირისპირებაში ჩაიკარგნენ... არც ამ აქციაში მიიღეს მონაწილეობა. როგორ ფიქრობთ, რა ბედი ელის პატარა პარტიებს და რა როლი აქვთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში?

– დიდი ხანია, ჩვენი პარტიული სისტემა „რეანიმაციაშია“ და გადაუდებელი „მკურნალობა“ სჭირდება. ამაზე ჯერ კიდევ კონსტიტუციური ცვლილებების განხილვის დროს ვსაუბრობდი.

თუ პარტიული სისტემა არ გაჯანსაღდა, გვექნება ასეთი პოლიტიკური მოცემულობა. პარტიული დემოკრატია, პოლიტიკური ფინანსების გაუმჯობესება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა – ყველაფერი ეს ჩვენთან ხომ უცხოა? ბოლო არჩევნებზეც, პარტიებში ბოლოდე არ იცოდნენ, ვინ ჰყავდათ კანდიდატები. როცა სისტემურად გაჯანსაღდება და პარტიულ ცხოვრებაში მოქალაქეთა აქტიურობაც გაიზრდება, ეს განაპირობებს ახალი, მძლავრი პარტიების გაჩენას. არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში კი, ორი მძლავრი, დაპირისპირებული პოლუსი იქნება, სადაც თითოეული მათგანი ეცდება არსებული მოცემულობის შენარჩუნებას და არა – შეცვლას, რათა პერიოდულად, ერთმანეთი ჩაანაცვლონ.

– ყველაფერ ამაში, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორს როგორ აფასებთ?

– სააკაშვილთან დაკავშირებით, საჯაროდაც მაქვს ნათქვამი და გავიმეორებ – ჩემი სამშობლოს პრეზიდენტმა საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე თქვა უარი და შეუდგა უცხო ქვეყნის სამსახურს. ჩემთვის ეს უხერხული და მტკივნეულია, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილება იყო და ის დღეს უკრაინის მოქალაქეა. ციხიდანაც რომ გამოვიდეს, პოლიტიკურ პროცესებში ვერ ჩაერთვება, პარტიის წევრი ვერ გახდება, არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ხოლო თუ მიიღებს, კანონსა და კონსტიტუციას დაარღვევს. შესაბამისად, გადაჭარბებული მოლოდინი სააკაშვილის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლეგალურად ჩართვასთან დაკავშირებით, ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, ცოტა გაუგებარია.

– ისე, არაფორმალურ მმართველობაზე საუბარი ახალი ხომ არაა, ბატონო ლევან...

– კი, ეს მეორე უბედურებაა. ერთი მხრივ, ამბობდე, რომ არაფორმალური მმართველობაა, ხოლო მეორე მხრივ, კონსტიტუციისა და კანონს მიღმა უშვებდე, უცხო ქვეყნის მოქალაქე აქაურ პროცესებში არაფორმალურად ჩაერთოს, ეს ჩემთვის მიუღებელია! დიახ, ჩემთვის კანონს მიღმა ქმედებები და პოლიტიკაში ჩართულობა მიუღებელია და დემოკრატიის ერთგული პოლიტიკოსებისთვისაც ასე უნდა იყოს!

– ვადამდელ არჩევნებთან დაკავშორებით, რა მოლოდინი გაქვთ?

– თუ დააკვირდით, პატარა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მიშელის დოკუმენტის შემდეგ, პარლამენტში სასწრაფოდ შევიდნენ, ვადამდელ არჩევნებზე უკვე აღარ საუბრობენ. ჩემთვის სამწუხარო ისაა, რომ პოლიტიკოსები, არსებული პოლიტიკური მოცემულობისა და პარტიული სისტემის გათვალისწინებით, მოწყვეტილნი იყვნენ და არიან საკუთარ მხარდამჭერებსა და ამომრჩევლებს. მიშელის მოლაპარაკებები, განსაკუთრებით ამნისტიის ნაწილში, ხომ იყო დამაზიანებელი ამ ოპოზიციური გაერთიანებისთვის იმიტომ, რომ არ ჰკითხეს საკუთარ მხარდამჭერებს – გამოაცხადეს, ამას მოვაწერეთ ხელიო და მერე ყველა ერთად იმართლებდა თავს! შესაბამისად, გადაჭარბებული მოლოდინის შექმნა დიდ იმედგაცრუებას იწვევს და პროცესსაც აზიანებს – ეს ზიანი მიიღეს ამ პარტიებმა ერთ წელიწადში.

ამ თვალსაზრისით, ვადამდელ არჩევნებს შეგუებულნი არიან, როგორც ჩანს, დიდი ნაწილი პარლამენტში შესული პარტიებისა, მით უმეტეს, რომ მათ კისერზეა ამ მოლოდინის შექმნა, რადგან პლებისციტში გაცვალეს თვითმმართველობის არჩევნები, რაც ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. ისინი თავისსავე დაანონსებულ რეფერენდუმში დამარცხდნენ, საკუთარი შეცდომების გამო. ასე რომ, სავარაუდოდ, ფიქრობენ საკუთარ პერსპექტივაზე და არც არიან ჩამოყალიბებულნი, რასაც ვატყობ, გარდა იმისა, რომ პარლამენტში დარჩებიან და ამით ისიამოვნებენ 2024 წლამდე.

ნაციონალურ მოძრაობას რაც შეეხება, იმის მიხედვით მოიქცევა, როგორ განვითარდება კონსტიტუციური ცვლილებები, გააქტიურებს ან პირიქით, პასივში გადაიყვანს ვადამდელი არჩევნების თემას.

როგორია 2022 წლის ბიუჯეტი და როგორ ნაწილდება საბიუჯეტო სახსრები სამინისტროებზე

მაკა რუხაძე

რის საფუძველზე ელოდება მთავრობა 2022-ში ეკონომიკის 6%-იან ზრდას

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომაზე, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსია განიხილეს. შენიშვნებთან ერთად, ბიუჯეტის პროექტი საქართველოს მთავრობას უკვე გადაეგზავნა. 2022 წელს, მთავრობა 6%-იან ეკონომიკურ ზრდას ელოდება, შედეგად კი მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 64.7 მილიარდ ლარამდე უნდა გაიზარდოს. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს, საბიუჯეტო ხარჯები 18.5 მილიარდ ლარამდე მცირდება. კლების ძირითადი მიზეზი პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების 850 მილიონი ლარით შემცირებაა. COVID-19-ის ვირუსის პრევენციის ღონისძიებებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტში 500 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც მიმდინარე წელთან შედარებით, 310 მილიონი ლარით ნაკლებია. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 18 მილიარდ 400 მილიონი ლარითაა დაგეგმილი.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ორიენტირებულია ფისკალურ კონსოლიდაციაზე, მის ფარგლებში სოციალური ვალდებულებების შესრულებასა და ბიზნესის მხარდაჭერაზე. მისი თქმით, საქართველო მთავარი გამოწვევებია კოვიდინფექცია, მაღალი ინფლაცია და ლარის კურსი. სწორედ ამ გამოწვევებიდან გამომდინარე, 2022 წლის ბიუჯეტი უნდა იყოს სტაბილურობის, მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ბიუჯეტი.

„ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ეკონომიკის 6%-იან ზრდას და დეფიციტის მაჩვენებლის მნიშვნელოვან კლებას – 6.9%-დან ბიუჯეტის დეფიციტი 4.4%-მდე მცირდება. დეფიციტის შემცირება მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი გავლენას ახდენს ინფლაციასა და ლარის კურსზე, ეს ორი საკითხი კი დღეს ჩვენი მოსახლეობისა და ეკონომიკის მთავარ გამოწვევად რჩება. ცხადია, სჯობს დეფიციტის ნიშნულის კიდევ უფრო შემცირება, თუმცა მსოფლიო პანდემიით გამოწვეული არაპროგნოზირებადი გარემოს გათვალისწინებით, იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რა შედეგს მოგვიტანს ეს ასიგნებების ნაწილში“, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ირკვევა, რომ მომდევნო წელს პენსიის ზრდაა დაგეგმილი. მეტიც, გაისად მასწავლებელთა ხელფასიც გაიზრდება და სხვადასხვა სოციალური შემწეობებიც. ვნახოთ, რა ძირითადი პარამეტრებითაა დაგეგმილი მომდევნო წლის ბიუჯეტი. განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ გაისად, სხვადასხვა სამინისტროებში დასაქმებული 112 700 ადამიანის ჯამური ხელფასი 20 მილიონი ლარით, 1.65 მილიარდ ლარამდე იზრდება.

ვნახოთ, როგორ ნაწილდება 18 მილიარდ 400 მილიონი ლარი სხვადასხვა სამინისტროებზე: დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, მომდევნო წლის ბიუჯეტში 5.94 მილიარდი ლარია გამოყოფილი. უფრო კონკრეტულად, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის 2.88 მილიარდი ლარია გათვალისწინებული; 70 წლამდე პენსიონერებისთვის საბაზისო პენსია – 260 ლარი, ხოლო 70 წელს ზემოთ – 300 ლარი იქნება; სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად გათვალისწინებული 983 მილიონი ლარი; COVID-19-ის პრევენციის ღონისძიებებისთვის – 500 მილიონი ლარი; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის – 820 მილიონი ლარი; იმუნიზაციისთვის – 50 მილიონი ლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის 2022 წლის ბიუჯეტში 2.84 მილიარდი ლარია გამოყოფილი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის – 1.64 მილიარდი ლარი. 2021 წელთან შედარებით, ამ უწყების ბიუჯეტი113 მილიონი ლარით გაიზარდა და შესაბამისად, გაისად, პედაგოგების საბაზისო ხელფასიც 100 ლარით იზრდება; კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის – 343 მილიონი ლარი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის – 577 მილიონი ლარი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის – 741 მილიონი ლარი; იუსტიციის სამინისტროსთვის – 268.4 მილიონი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის – 175.5 მილიონი ლარი; თავდაცვის სამინისტროსთვის – 918 მილიონი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის – 800 მილიონი ლარი.

ეს პარამეტრები 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიაშია ასახული და არაა გამორიცხული, რომ მეორე და მესამე მოსმენითვის, შეიცვალოს ან დაკორექტირდეს. ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსია 1300-გვერდიანი დოკუმენტია. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, შენიშვნებითა და რეკომენდაციებით მთავრობას უკვე გადაუგზავნა. პროცედურის თანახმად, ქვეყნის მთავარ საფინანსო დოკუმენტს მთავრობა პარლამენტს 5 ნოემბრამდე დაუბრუნებს.

რამდენი ათასი დაუჯდა ბიუჯეტს პენსიონერი პედაგოგების სკოლიდან გაშვება და უკან დაბრუნება

მაკა რუხაძე

აუდიტის სკანდალური ანგარიშები, რომლებიც დეპუტატებმა განიხილეს

საქართველოს პარლამენტის აუდიტის ანგარიშების განმხილველმა მუდმივმოქმედმა სამუშაო ჯგუფმა განათლების თემაზე მომზადებული ანგარიში განიხილეს. სხდომას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ – აუდიტორებმა დეპუტატებს „პროფესიული განათლების სისტემის აუდიტისა“ და „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აუდიტის“ ანგარიშები გააცნეს. აუდიტის ობიექტებმა – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციების შესრულებასა და ანგარიშებში ასახულ მიგნებებზე ისაუბრეს.

აუდიტის ანგარიშები, რომლებიც გასულ კვირას საკანონმდებლო ორგანოში განიხილეს, „ვერსიამ“ დეტალურად გააშუქა. აუდიტის ანგარიში 2017-2019 წლებს მოიცავს და საკმაოდ სკანდალურ ფაქტებსაც შეიცავს. დავიწყოთ იმით, რომ სკოლებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წელს, სახელმწიფომ მასწავლებლის პროფესიის მართვის მექანიზმი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა შეიმუშავა. ეს სქემა გულისხმობს მასწავლებლების კვალიფიკაციის უწყვეტ განვითარებაზე ზრუნვას, ხოლო მათი გადამზადებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით – შესაბამისი ტრენინგების შეთავაზებას.

„მიუხედავად ცვლილებებისა, მთელი რიგი საკითხები მაინც გამოწვევად რჩება. ასე მაგალითად, სქემის ფარგლებში, 2015 წლიდან 2020 წლამდე, მასწავლებელთა 21%-ს სტატუსი არ შეუცვლია და განსაზღვრული საბაზისო საფეხურის შესაბამისად – პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია. 2017-2019 წლების მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით, წამყვანი მასწავლებელი, საშუალოდ, მხოლოდ 2%-ია, რომლებიც დასაქმებულნი არიან არსებული სკოლების 25%-ში! რაც შეეხება უმაღლეს საფეხურს – მენტორს, ასეთი სტატუსის მქონე მასწავლებელი განათლების სისტემაში მხოლოდ 0.4%-ია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ასეთი, არცთუ სახარბიელო სტატისტიკის პარალელურად, 2017-2019 წლებში, კომპეტენციის დამადასტურებელი პროფესიული გამოცდა მასწავლებლების დიდმა ნაწილმა მინიმალური ბარიერით გადალახა. მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად წელიწადში, საშუალოდ, 11 000 000 ლარი იხარჯება.

ახლა ვნახოთ, რა ძირითადი დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მინიმალური საგამოცდო ბარიერი პედაგოგთა მხოლოდ 30%-მა გადალახა. ეს კი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო პრაქტიკას, რომლითაც ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 70%-ია. 2017-2019 წლებში, საგნობრივი მიმართულების გამოცდაზე, მინიმალური შედეგი აჩვენა მასწავლებლების 25%-მა, ხოლო პროფესიული უნარების მიმართულებით – 27%-მა. აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სქემით განსაზღვრული მაქსიმალური შედეგი (60% და უფრო მაღალი), ერთდროულად, როგორც საგნობრივი, ასევე, პროფესიული უნარების გამოცდაში, მასწავლებლების მხოლოდ 1.5%-მა დააფიქსირა. 2020 წლიდან, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საგნობრივი გამოცდის შემთხვევაში, 50%-მდე გაიზარდა.

„სქემის ფარგლებში, 2020 წლიდან, პროფესიული უნარების დამადასტურებელ გამოცდაში გადასალახი მინიმალური ზღვარი განსაზღვრული არაა. ამასთან, მიუხედავად მასწავლებლების მიერ გამოცდაზე მიღებული დაბალი შედეგებისა, გაიზარდა იმ მასწავლებლების რიცხვი, რომლებმაც მომდევნო კარიერულ საფეხურზე გადაინაცვლეს“.

2020 წლიდან, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, ტრენინგების გასავლელად სავალდებულო საათების რაოდენობა განისაზღვრა, თუმცა სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, იდენტიფიცირებული არ ყოფილა დარგებისა და კარიერული საფეხურების მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგ-მოდულები. გარდა ამისა, მასწავლებელთა გადამზადების ეტაპობრივი და თანმიმდევრული გეგმა არ შეუმუშავებიათ.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებლებს, რომლებმაც 2019 წელს, შესაბამისი აქტივობების განხორციელების გზით, კომდევნო კარიერულ საფეხურზე ვერ გადაინაცვლეს, რის გამოც პედაგოგიური საქმიანობა უნდა შეეწყვიტათ, მთავრობის დადგენილებით, საშუალება მიეცათ, სახელმწიფო ფულადი ჯილდო მიეღოთ იმ შემთხვევაში, თუ სისტემიდან გავიდოდნენ. ამ მიზნით, 2019-2020 სასწავლო წლებში, სამინისტრომ 75 500 000 ლარი გახარჯა.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ორწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამ კატეგორიის მასწავლებლებს კვლავ აქვთ შესაძლებლობა, განაგრძონ პედაგოგიური საქმიანობა, დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. სამინისტროსა და ცენტრს არ აქვთ შემუშავებული სამოქმედო გეგმა სისტემიდან გასული მასწავლებლების ახალი კვალიფიციური კადრებით ჩასანაცვლებლად, რაც არსებული მექანიზმების პირობებში, პროცესის არაეფექტიანად წარმართვის რისკებს ზრდის“.

მეტიც, აუდიტის პერიოდში, ცენტრმა სათანადოდ არ შეისწავლა და არ შეაფასა პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებელთა მხრიდან განხორციელებული აქტივობების შესრულების შედეგები. შესაბამისად, მასწავლებლების უმრავლესობა ვერ ასრულებდა სქემით განსაზღვრულ, როგორც სავალდებულო, ასევე, დამატებითი სამუშაოების 40%-ს.

აუდიტის შედეგად გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შესაბამისი რეკომენდაციები გასცა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია, სისტემის ფუნქციონირება გაუმჯობესდეს:

„მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ტრენინგებზე მიმართული ფინანსური რესურსის პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ტრენინგების გასავლელად, სქემით დადგენილი წლიური სავალდებულო საათების ფარგლებში, უნდა შეფასდეს და შესაბამისად გაიწეროს ცალკეული დარგისა და კარიერული საფეხურის მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგ-მოდულები; განისაზღვროს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამიმდევრულად, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მასწავლებელთა სრული კონტინგენტის გადამზადებას კონკრეტულ ვადებში; მიზანშეწონილია, შემუშავდეს სისტემატიზებული დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება მათი მიღწევის კონკრეტული მექანიზმები, საჭირო რესურსები და შესაბამისი შეფასების ინდიკატორები; ცვლილების საფუძველზე, ახალი მექანიზმების დანერგვისას, უზრუნველყოფილ იქნეს მათი სქემის მიზნებთან შესაბამისობა; სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ფინანსური სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული ხარჯვის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომლითაც სისტემაში მხოლოდ იმ კადრებს შეინარჩუნებენ, რომლებიც დადგენილ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებენ და კვალიფიციური კადრების მოზიდვასაც უწყობენ ხელს“.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისი ქოლგის ქვეშ არსებული სსიპ-ების წარმომადგენლები სახელმწიფო აუდიტის ანგარიშებში ასახულ დარღვევებსა და მიგნებებს ეთანხმებიან. მეტიც, როგორც გაირკვა, ისინი სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციებსაც ითვალისწინებენ და ასრულებენ კიდეც.

მართლა გააუპატიურა თუ არა 53 წლის მამაკაცმა შვილიშვილი 125-ჯერ

სალომე ნოზაძე

მეზობლების ჩვენებები და სკანდალური ინტერვიუ ადვოკატთან

„ვერსიის“ საგამოძიებო ბიურო საქართველოში გახშირებული პედოფილიის ფაქტების გამოძიებას იწყებს. შევეცდებით, სისხლის სამართლის საქმეებზე დაყრდნობით, ვუპასუხოთ მთავარ კითხვას – რა არის ამგვარი დანაშაულის მიზეზი, პრევენციის რა ზომები უნდა იქნას მიღებული ან რას ფიქრობენ ფსიქოლოგები, იურისტები და ექიმები? ასევე, გაგაცნობთ მსოფლიოში გახმაურებულ ფაქტებს. გამოძიებების სერიას ახლახან, შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი ფაქტით ვიწყებთ, რა დროსაც, 13 წლის შვილიშვილის გაუპატიურების ბრალდებით, სამართალდამცავებმა 53 წლის მამაკაცი დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 137-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ გაუპატიურებას გულისხმობს. გამოძიებით დადგინდა, რომ „ბრალდებული, მცირეწლოვან შვილიშვილზე ძალადობდა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, სისტემატურად აუპატიურებდა მას, ახორციელებდა გარყვნილ და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებებს“. რა ხდება სინამდვილეში, რატომ გამოიყენა სასამართლო სხდომაზე საქმის სახელმწიფო ბრალმდებელმა დუმილის უფლება (?!) და რა ფაქტების საფუძველზე დააკავეს მოძალადე პაპა?

„ვერსიამ“ დეტალების გარკვევა ადგილზე სცადა. 13 წლის გოგონა ტყუპისცალია. მშობლები გაცილებულები არიან. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვები მამას კვირაში ერთხელ მიჰყავდა ოჯახში და, შესაბამისად, უქმე დღეებს პაპასთან ატარებდნენ. ბავშვების ბებია უცხოეთშია სამუშაოდ წასული და ოჯახს საარსებო თანხას უგზავნის. 53 წლის ბრალდებული ინვალიდია და ტაქსის მძღოლად მუშაობს. „ვერსია“ ბრალდებულ გ.მ.-ს ახლობლებს ესაუბრა. გასაოცარია, მაგრამ აღმაშფოთებელი დანაშაულის მიუხედავად, თითქმის არავის სჯერა, რომ პაპა დამნაშავეა. არგუმენტი: **„ბავშვის დედას აქვს მოტივი, ეს ამბავი სიცრუეა და კაცს ცილი დასწამეს“.**

როგორც ერთ-ერთი მეზობელი ამბობს: **„ბავშვების დედა სულ ცდილობდა ოჯახი გაემწარებინა, ამიტომ ვამბობ, რომ ეს ამბავი მოგონილია. პაპა ბავშვებზე გადაყოლილი იყო. წარმოუდგენელია ამ კაცისგან მსგავსი რამ, არავის სჯერა“.**

მეზობლებისვე თქმით, მსხვერპლის დედას ანუ ბრალდებულის რძალს ამგვარი საქციელის მოტივი აქვს – მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი მამამთილმა დაანგრია, ამის გამო გამწარდა და ამ გზით გადაწყვიტა დაესაჯა. სანდრო წყარო გვიყვება, რომ ბრალდებული და მისი ცოლიც გაცილებულები არიან და ამის მიზეზად გ.მ.-ს ძალიან ცუდი ხასიათი სახელდება. ამბობენ, რომ **„მამაკაცი სვამდა და ცოლს სცემდა. ქალი მხოლოდ ბავშვების გამო ითმენდა ძალადობას, მაგრამ როდესაც ისინი წამოიზარდნენ, ქმარს გაშორდა. დაშორების შემდეგ, კაცი ისევ ლანძღავდა ცოლს. ეს აგრესია შემდეგ შვილებზეც გადავიდა. სხვათა შორის, წლების განმავლობაში, ბრალდებულთან ქალიშვილი არ კონტაქტობდა. რა იყო ამის მიზეზი, არ ვიცი, თუმცა, როგორც ვიცი, ახლა შერიგებულები არიან“.**

„ვერსია“ შეეცადა, გოგონების დედას დაკავშირებოდა, თუმცა როგორც გავარკვიეთ, დედა და შვილები სახლში მეზობლებსაც არ უნახავთ. ამბობენ, რომ გოგონას ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება და ოჯახი სად არის, არ იციან.

* * *

გორის სასამართლომ ბრალდებულ გ.მ.-ს 45-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო სხდომა 30 ნოემბერსაა ჩანიშნული და სწორედ ამ სხდომაზე უნდა გადაწყდეს, დარჩება თუ არა პატიმრობაში ბრალდებული. თუმცა მანამდე, „ვერსია“ ბრალდებულის ადვოკატს, ზურაბ თოდუას ესაუბრა და რამდენიმე დეტალის გარკვევა, ასევე, მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება სცადა:

– ბატონო ზურაბ, რატომ არ სჯერათ მეზობლებს, რომ დაკავებული დანაშაულს ჩაიდენდა და რა გამოიკვეთა წინასწარი მოკვლევით, რა არის გ.მ.-ს დაპატიმრების მოტივი?

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, ამ საქმეში არ ჩავერთვებოდი, თუ არ დავრწმუნდებოდი, რომ მამაკაცი უდანაშაულოა. გამორიცხულია, რაც უნდა გადაეხადათ, ასეთ ბინძურ საქმეში არ ჩავერთვებოდი! მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც ეს კაცი დაიჭირეს, ძალიან სასაცილოა... ფაქტობრივად, არ არსებობს! უნდა მოგესმინათ და გეყურებინათ პროკურორისთვის, რა დღეში ჩავარდა, როდესაც ვერ მიპასუხა, თუ რა მიზეზით დააკავეს ეს კაცი. პროკურორმა დუმილის უფლებით ისარგებლა და ერთ კითხვაზეც არ მიპასუხა. ადამიანს ასეთი მძიმე ბრალდებით ციხეში რატომ უშვებ-მეთქი და არც ამ კითხვაზე მიპასუხა.

ჩემი აზრით, აქ ოჯახური დაპირისპირებაა. ბრალდებულის შვილი ცოლს გაშორებულია, ამ ბიჭმა მოიყვანა სხვა ცოლი. ეს გოგო კი ოჯახის დანგრევას მამამთილს ანუ ბრალდებულს აბრალებდა. ესაა ამ ამბის თავი და თავი. ამ ბავშვს დედა მართავს. ფაქტობრივად, ბავშვი სამჯერაა დაკითხული და სამივეჯერ ტექსტი აბსოლუტურად იდენტურია – ვფიქრობ, დაზეპირებული ჰქონდა. 13 წლის ბავშვს რაც უნდა მაღალი IQ ჰქონდეს, შეუძლებელია, სამი დღის მანძილზე, ერთი და იგივე ტექტით ილაპარაკოს.

– ბატონო ზურაბ, ბრალდებულიც ამბობს, რომ ყველაფერი ყოფილი რძლის მოგონილია და ცილს სწამებენ?

– ამბობს, რომ ბაბუასა და შვილიშვილს მხოლოდ ტრადიციული, ბაბუა-შვილიშვილისთვის შესაფერისი ურთიერთობა ჰქონდათ.

– როგორც გაირკვა, ბრალდებულს შვილიშვილთან ბოლო კონტაქტი 2020 წლის ოქტომბერში ანუ ზუსტად ერთი წლის წინ ჰქონდა. დაზარალებული მხარე რას ამბობს, ეს ამბავი აქამდე რატომ არ გამჟღავნდა?

– დიახ, შვილიშვილთან ბოლო კონტაქტი 2020 წლის ოქტომბერში ჰქონდა. როგორც დედა ამბობს, 2021 წლის 10 ოქტომბერს მოუნდა ოჯახურ პირობებში ბავშვებისთვის აეხსნა, თუ რა არის სექსუალური ძალადობა, ვინ არის მოძალადე და მსხვერპლი. საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ამ თემაზე და ამის შემდეგ ჰკითხა ბავშვებს, ხომ არ ყოფილა მათთან მსგავსი შემთხვევა. ტყუპი გოგონებიდან ერთ-ერთმა თქვა, რომ მსგავი შემთხვევა არ ჰქონია, მეორემ კი დედას უთხრა, რომ 5 წლის განმავლობაში, ბაბუამისი მასზე ძალადობდა. ამის შემდეგ, 11 ოქტომბერს, 15.00 საათამდე, ეს ქალბატონი სახლში ბრძანდება და შემდეგ რეკავს პოლიციაში. დედასთან ლოგიკური კითხვა მაქვს – როგორ მოითმინა და ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, როგორ დაიძინა ღამე მშვიდად?

– გავრცელებული ინფორმაციით, ექსპერტიზის შედეგად, ბავშვს ძალადობის კვალი არ აღმოაჩნდა და თუ ეს დასკვნა საქმეში დევს, სასამართლომ მამაკაცის დაკავების გადაწყვეტილება რის საფუძველზე მიიღო?

– მაქვს არაოფიციალური პასუხი, რომ ბავშვს გაუპატიურების კვალი არ აღენიშნება – საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ არის ანუ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია. ამის შემდეგ, პროკურორს ვეკითხები – რატომ არ ჩადეთ საქმეში ეს მტკიცებულება-მეთქი და მპასუხობს, ჯერ არ მიმიღიაო. საექსპერტო დასკვნამ დაადგინა დედამისის თანდასწრებით, რომ არავითარ დარღვევას ადგილი არ აქვს ანუ გამორიცხავს გაუპატიურებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ბავშვი იტყუება და პროკურორი ცალსახად, ზედმიწევნით იმეორებს ამ ბავშვის ფანტაზიას.

– დაველოდოთ ექსპერტიზის დასკვნას და მანამდე დავუშვათ ვერსია, რომ ეს ბავშვი ნამდვილად ფანტაზიორობს. თუ ასეა, პროკურატურას რატომ უნდა აწყობდეს ეს ამბავი?

– მეც ზუსტად ამას ვკითხულობ. კი, ბავშვმა მოგცათ ეს ჩვენება, მაგრამ პროკურორს უფლება არ აქვს, ამ ჩვენების ნამდვილობის გადამოწმების გარეშე, პირდაპირ აცუნდრუკდეს და დაიჭიროს. მისცა ბავშვმა ჩვენება და ერთ საათში დააკავეს კაცი. პროცესზეც ვკითხე, რა მტკიცებულება მოიპოვეთ, რომლითაც დასტურდება გაუპატიურება-მეთქი. პროკურორი არ გვპასუხობს ამ კითხვაზე, იმდენი ილაპარაკა და იმდენი უფლება დაურღვია ბრალდებულსაც, რომ შემეცოდა.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრალდებული ორივე დაზე სექსუალურად ძალადობდა. ექსპერტიზა ტყუპისცალსაც ჩაუტარდა?

– სრული სიცრუეა. მეორე ბავშვი საერთოდ გამორიცხავს ბაბუისგან მსგავს საქციელს.

– დაზარალებულის მეზობლებმა გვითხრეს, რომ ბავშვს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება. ასეა?

– პირდაპირ გეტყვით: გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბავშვი სკოლაში შეუძლოდ გახდა, სიცრუეა – ერთი წელია, ბავშვი სკოლაში არ ყოფილა. ასევე, გავრცელებული ინფორმაცია, რომ მასთან ფსიქოლოგი მუშაობს და თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს დაზიანებების გამო, სიცრუეა. ბავშვი ჩვენებებზე დადის და დახტუნაობს, ღმერთმა კარგად ამყოფოს. საექსპერტო დასკვნამ დაადგინა, რომ დაზიანება არ აქვს.

მეტსაც გეტყვით, როგორც დაზარალებული მხარე ამტკიცებს, 2017 წლის იანვრიდან 2020 წლის 20 სექტემბრამდე, პაპას შვილიშვილთან 125 სექსუალური აქტი ჰქონოდა ანუ პაპამ 125-ჯერ გააუპატიურა. დადგენილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მამას უფლება ჰქონდა, მხოლოდ შაბათ-კვირას წამოეყვანა ბავშვები დედისგან. აქედან დროის უდიდეს ნაწილს ბავშვები თბილისში, მამასთან ატარებდნენ, ხოლო რამდენჯერმე, შეიძლება, ყველაზე ბევრი – ათჯერ, ბავშვები, მამა და მამის მეორე ცოლი პაპასთან, სოფელში იმყოფებოდნენ. ვეკითხები პროკურორს – როგორც ბავშვი ამბობს, ღამეში ერთხელ ხდებოდა აქტი, აქედან გამომდინარე, 125 აქტი 125 ღამეს ნიშნავს, არა? თავის მხრივ, 125 ღამე 125 დღეა, რა მთლიანობაში, 4 თვეს უდრის და გამოდის, ამ შემთხვევაშიც იტყუება?! ფიზიკურად, დედას მამისთვის ბავშვები ამდენჯერ არ გაუტანებია...

ასევე, ბავშვი ჩვენებაში იყენებს ისეთ ლექსიკას, რომელიც მხოლოდ თინეიჯერებმა იციან და ამბობს: „პაპა ასე მომმართავდაო“... ეს არის ერთი „შოფერი“ გლეხი კაცი, რომლემაც 22 წლის ასაკში დაკარგა ფეხი მატარებელში და მეორე ჯგუფის ინვალიდია. ბავშვი ამბობს, პაპა ასე მეუბნებოდა: „პაპა, მე შენ უკვე გაგჟიმე და არ თქვა არსად, თორემ შენც დაგიჭერენ და მეცო“. სიტყვა „გაგჟიმეს“ მნიშვნელობა იცის კი არა, პირველად გაიგო ამ ხნის კაცმა! ბავშვი ამით ამართლებს ამდენხნიან დუმილს და ამბობს, ამას იმიტომ ვმალავდი, რომ მეშინოდა, მეც არ დავეჭირეო, თუ ამას სადმე იტყვი, სანამ დამიჭერენ, შენს დებსაც ამას ვუზამო!

სამართალი

№37 13 ოქტომბერი 2021 წ

აბაზანაში ნაპოვნი 26 წლის გოგონას გვამი და მკვლელის აღიარება

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ხელშეუხებელნი იყვნენ. საქმის აღძვრა კი არა, უბრალოდ, მათი დაკითხვაზე დაბარებაც კი არ შეიძლებოდა. ცენტრალური კომიტეტის რიგითი თანამშრომლებიც უდიდესი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცეკა-ს წევრებს სპეციალურ ტალონებსაც აძლევდნენ, რომლებითაც მხოლოდ მათთვის გამოყოფილ მაღაზიაში, უცხოურ საქონელსა და პროდუქტს იღებდნენ. შესაბამისად, მაშინ, როცა ბევრისთვის ჩეხური თუ გერმანული ლუდი უცხო იყო, მათ ბოთლებით ეწყოთ მაცივრებში. მათთვის ურიგოდ იყო ბინები და რაც მთავარია, ყველაზე პრესტიჟულ ადგილებზე.

ჰოდა, სწორედ ასეთი ბინიდან შევიდა მილიციაში ზარი 1983 წლის ზაფხულში. ქალი რეკავდა და ამბობდა, რომ მეზობელს შესასვლელი კარი ღია ჰქონდა, იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე დაუძახა, სახლიდან არავინ გამოიხედა, ქალს კი ოთახში შესვლის ეშინოდა. სამართალდამცავები ადგილზე მალე მივიდნენ და სააბაზანოში ახალგაზრდა ქალის სხეული ნახეს. წინასწარი დასკვნით, ქალს ფეხი აუცურდა, წყლით სავსე აბაზანაში ჩავარდა და გაიგუდა. მოგვიანებით, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ მართალია, ქალს ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა, მაგრამ არც დაცემის კვალი ჩანდა ანუ ფეხის ასრიალება და ჩავარდნა გამოირიცხა.

„როგორც გაირკვა, გარდაცვლილი 26 წლის გოგონა იყო, რომელიც ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობდა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ბინაც ცოტა ხნის წინ მიიღო, მანამდე საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ცეკა-დან მალევე დარეკეს, აქაოდა, ისეთი რამე თუ აღმოაჩინეთ, რაც პარტიას ჩირქს მოსცხებს, არ გაახმაუროთ და გრიფით საიდუმლო დაადეთო“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ვისაც კომუნიზმის დროს საერთო საცხოვრებელში არ უცხოვრია, კომენდანტის როლსა და მნიშვნელობას ვერ მიხვდება. კომენდანტმა ყველაზე ყველაფერი იცოდა, ვინ ვისთან და რატომ მიდიოდა, კომენდანტისთვის უნდა „გაგემაზა“ თანხა, 9 საათის შემდეგ, საერთო საცხოვრებელში რომ შეეშვი მეგობარი გოგონას სანახავად. ამიტომ, გამომძიებლები სწორედ იმ საერთო საცხოვრებლის კომენდანტის სანახავად წავიდნენ, სადაც გოგო ცხოვრობდა. ასევე, როგორც წესი, კომენდანტად პენსიონერი, მაგრამ კარგად დაგეშილი ქალი მუშაობდა. სამართალდამცავების დანახვამ არც შეაკრთო, არც გააკვირვა, მშვიდად მოუსმინა და მერე ჩაილაპარაკა – „დაიგრალას დევუშკა!“

„კომენდანტის მონაყოლმა პირი დამაღებინა. მან ათი კაცი ჩამოთვალა, რომლებთანაც, მისი თქმით, გოგონას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. ისინი სხვადასხვა დროს, მასთან მიდიოდნენ და ღამით რჩებოდნენ. იმის გამო, რომ ყველა მათგანი ცენტრალური აპარატის თანამშრომელი იყო, კომენდანტი შეშვებაზე უარს ვერ ეუბნებოდა, აქაოდა, პარტიულ საქმეს ასე სჭირდებაო. როცა გვარები სამსახურში წარვადგინე, ჩემმა უშუალო უფროსმა მინისტრის მოადგილეს დაურეკა, იმან – მინისტრს და მალე მთელი სამინისტრო ფეხზე დადგა. საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო და რაც მთავარია, ჩამოთვლილი ათი კაციდან ათივეს დაკითხვა აგვიკრძალეს, სანამ მყარი არგუმენტი არ გვექნებოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

არადა, რა არგუმენტი უნდა ჰქონოდა გამოძიებას, როცა კვალი ძაღლმაც კი ვერ აიღო. აბაზანაში შავი პილპილი იყო მოყრილი, რის გამოც ძაღლი უძლური აღმოჩნდა. ეს ხელწერა პოლიტმუშაკისას არ ჰგავდა, შესაძლო დამნაშავე უფრო გამოცდილ კრიმინალებში უნდა ეძებნათ, მაგრამ გოგონა იქ არ ტრიალებდა, ამიტომ საგამოძიებო ჯგუფი მინისტრთან მოხსენებით შევიდა და გეგმა გაანდო. ამ გეგმის მიხედვით, სამინისტროში უნდა გამართულიყო სემინარი, რომელზეც პარტიული მუშაკები და მათ შორის, სწორედ ის ათი კაციც იქნებოდა მიწვეული, რომლებიც კომენდანტმა ჩამოთვალა. მინისტრი დათანხმდა, რადგან კარგად იცოდა, საქმის გამოუძიებლობის გამო, ტყავს გააძრობდნენ, რომელიმე ჩინოვნიკზე შეცდომით ეჭვი რომ მიეტანა, შესაძლოა, საერთოდ მოეხსნათ.

სემინარი ჩაინიშნა და მასზე დასასწრებად უკლებლივ ყველა მოვიდა. იმავე გეგმის მიხედვით, ოთახში საკმარისზე მეტად ცხელოდა, ამიტომს პარტიულმა ელიტამ პიჯაკები შემოსასვლელში, სპეციალურად დადგმულ საკიდზე დაკიდა. იქვე იდგა სამი ქალბატონი, რომლებიც მათთვის საინტერესო პირების პიჯაკებს იმახსოვრებდნენ. როგორც კი სემინარი დაიწყო, გარეთ, საკიდთან ოპერმუშაკები გაჩდნენ და ჯიბეების ჩხრეკას შეუდგნენ. ყველაფერი ეს იღბალზე იყო გათვლილი, ან გაუმართლებდათ, ან – არა. ერთ-ერთი პარტიული ჩინოვნიკის ჯიბეში შავი პილპილის ნაწილაკები ნახეს. პრინციპში, რაღა ნაწილაკები, იმდენი პილპილი ეყარა, ათ ხინკალს ეყოფოდა და ასე გამოიკვეთა მთავარი ეჭვმიტანილი, თუმცა მის გარდა, იყო კიდევ ერთი, 60 წელს მიტანებული კაცი, რომელიც ახალგაზრდა ქალთან კურკურს სამსახურშიც არ ერიდებოდა. ჰოდა, სანამ მთავარ ეჭვმიტანილზე გადავიდოდნენ, სწორედ ამ ასაკოვანი კაცის დაკითხვა გადაწყვიტეს, ოღონდ ყოველგვარი ორდერისა და გაფრთხილების გარეშე.

„როცა კარზე დავუკაკუნე, გააღო, მოწმობას დახედა და ძალიაან მშვიდად მითხრა, შემოდიო. კითხვა არ დამისვამს, თავად დაიწყო მოყოლა. ურთიერთობა მქონდა, მერე მთხრა, ცოლად უნდა მომიყვანოო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და ასე, ორი თვის წინ, შინ დამადგა, სკანდალი მომიწყო, ჩემს ცოლს სულ ბებერი ეძახა, აქაოდა, ეცოდები, თორემ შენზე გული ერევაო. არადა, ცოლი მართლა მიყვარდა. იმ დღეს არაფერი, უბრალოდ, ცოლმა მითხრა, საძინებელში არ შემოხვიდეო. დილით შევედი და წერილი დამხვდა, მინდა, ბედნიერი იყო და მე ხელს არ შეგიშლიო. იქვე საძილე აბების ცარიელი ფლაკონები და ჩემი ცოლის გაციებული სხეული ეგდო. ამის შემდეგ ის გოგო მთელი არსებით შემძულდა და მის სიკვდილს ვნატრობდი. არ მომიკლავს, მაგრამ თუ დამაბრალებთ, არ გავაპროტესტებო. გულდამძიმებული წამოვედი, ან რა უნდა მეთქვა მორალურად განადგურებული კაცისთვის“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამოძიებას ერთადერთი ეჭვმიტანილი შერჩა. მისი დაკითხვა გამორიცხული იყო, რადგან ცოტა თავხედი გახლდათ და, რაც მთავარია, რესპუბლიკაში მესამე თუ არა, მეოთხე პარტიული ჩინოვნიკის სასიძოდ ითვლებოდა. საჭირო იყო მისი ბინის ჩხრეკა, მაგრამ როგორ? ოფიციალურად სამართალდამცავებს ამის ნებას არ მისცემდნენ. მისი გარემოცვა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ გვერდით კორპუსში დედა ცხოვრობდა. სწორედ დედასთან მივიდნენ ორშაბათს დილით, ცეკა-ს თანამშრომლებად გაეცნენ და უთხრეს, შვილი თათბირზეა, პორტფელი კი შინ დარჩა, ამიტომ თანამშრომლებს დაავალა, დედისთვის გასაღები გამოერთმიათ და პორტფელი მიეტანათ. დედამ გასაღები უპრობლემოდ მისცა და ეს იყო უდდიდესი რისკი – სამართალდამცავები რამეს ან ნახავდნენ, ან ვერა და ყველაფერი ჩაეფუშებოდათ.

„ბინაში ოთხნი შევედით და სიმართლე გითხრა, ერთმაც არ ვიცოდით, რას ვეძებდით. სამზარეულოში შავი პილპილის ჩასაყრელი შუშის ქილა ვნახეთ, ფრთხილად შევახვიეთ და წამოვედით. ასევე, წამოვიღეთ ჭიქა, რომლიდანაც სახლის პატრონი, სავარაუდოდ, წყალს სვამდა. შევადარეთ ანაბეჭდები და ჩინოვნიკის გარდა, პილპილის ქილაზე გარდაცვლილი გოგონას ანაბეჭდებიც აღმოჩნდა. ცხადი იყო, ეს ქილა მისი სახლიდან წამოიღო და ამას ვერანაირად ახსნიდა. პროკურორმა დაკავების სანქცია გასცა, ოღონდ მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ მისთვის ბორკილები ცეკა-ს შენობაში არ უნდა დაგვედო. ასეც მივიქეცით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დაკავებული მალევე გატყდა, სასიმამროს იმედი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი სასიმამრომ მისი ბრალის შესახებ შეიტყო, ხელები დაიბანა, მისი ბედი არ მაინტერესებსო, თუმცა დაკავებულმა წერილი მაინც დაწერა, პარტიას მიმართა, შემეშალა, პარტბილეთს არ ვიმსახურებ და გამრიცხეთ, სანაცვლოდ, მომავალში პარტიის სახელს არ შევბღალავო. ეს მინიშნება იყო, რომ მის განაჩენზე ზემოქმედება უნდა მოეხდინათ.

„მაგ გოგოს სარფიანად სურდა გათხოვება და საბოლოოდ, ისე გამოვიდა, ვისაც არ დაეზარა, ყველამ ლოგინში ჩაიგორა, ცოლად კი არავინ მოიყვანა. მე ქორწილისთვის ვემზადებოდი, ცოტა გავერთე, ის კი ამიხტა, შენს საცოლეს ვნახავ და ყველაფერს მოვუყვებიო. მკვლელობის გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღე, პილპილის მოყრა წიგნში მქონდა წაკითხული, მაგრამ იმ წიგნში დამნაშავე იმიტომ დაიჭირეს, რომ პილპილის ქილა დატოვა. მე კი სახლში წავიღე, გადაგდება დამავიწყდა, მერე კი ვიფიქრე, იდოს, ვინ რას მიხვდება-მეთქი“, – განაცხადა დაკითხვაზე დაკავებულმა.

სასამართლომ ყველაფერი გაითვალისწინა და განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს მხოლოდ შვიდი წელი მისცა. მართალია, მისი პოლიტიკური კარიერა დასრულდა, მაგრამ ცხოვრება – არა, რადგან 27 წლის კაცი ციხიდან სამ წელიწადში გამოვიდა.

სისხლიანი ეჭვიანობა

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროს, საქართველოში დასასვენებლად მთელი პარტიული ელიტა დადიოდა – ცნობილი მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები აფხაზეთის სანანპიროს ვერ ელეოდნენ და სანუკვარ შვებულებას სწორედ იქ ატარებდნენ. ამიტომ, ზაფხულობით, აფხაზეთის ზღვისპირეთში არავის უკვირდა, თუნდაც ალა პუგაჩოვას, იური ნიკულინისა და სხვა ცნობილი ადამიანების ნახვა. რა თქმა უნდა, მათი სტუმრობა ადგილობრივ სამართალდამცავებს პასუხისმგებლობას მატებდა, რადგან არ უნდა მომხდარიყო ის, რაც, მაგალითად, ალისა ფრეინდლიხის შემთხვევაში, თბილისში მოხდა, როცა საბჭოთა კინოს კაშკაშა ვარსკვლავს „დუბლიონკა“ (ზამშის ქურქი) გახადეს.

„აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ყოველთვის გამოცდილი კადრები ჰყავდა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ჩვენც გვიძახებდნენ. სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა 80-იანების მიწურულს, როცა ერთ-ერთი სასტუმროს ეზოში ქალი მოკლეს. მთავარი ის კი არ იყო, ვინ მოკლეს, არამედ ის, რომ ამ სასტუმროში, ცოლთან ერთად, საბჭოთა კინოს ლეგენდა, ევგენი ლეონოვი ისვენებდა და სამართალდამცავებს არა მხოლოდ მისი უსაფრთხოება უნდა დაგვეცვა, არამედ, იმაზეც გვეზრუნა, ლეონოვის ყურამდე მკვლელობის ამბავი არ მისულიყო და იქაურობა არ დაეტოვებინა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

თბილისიდან სამართალდამცავების ჩასვლამდე, ადგილობრივებს უზარმაზარი სამუშაო ჰქონდათ ჩატარებული – დაადგინეს ქალის ვინაობა, რომელიც იმავე სასტუმროში ცხოვრობდა და ისიც გაარკვიეს, რომ მას თავში ჯერ მძიმე საგანი ჩაარტყეს, შემდეგ კი გაგუდეს.

მილიციამ ისიც კი იცოდა, რომ ქალი ქმარს დაშორებული იყო, მეტიც, გაარკვიეს, რომ რამდენჯერმე, სასტუმროში უცხო მამაკაცმა მიაკითხა და სასეირნოდ წავიდნენ. ჰოდა, ახლა ყველა სწორედ იმ მამაკაცს ეძებდა, რომლის სავარაუდო აღწერილობა და ფოტორობოტიც კი შედგენილი ჰქონდათ.

ოპერმუშაკებს დიდხანს ძებნა არ დასჭირვებიათ, მეორე დღეს, სავარაუდო ეჭვმიტანილი თავისი ფეხით გამოცხადდა და გაოცდა, როცა ხელბორკილი დაადეს და განყოფილებაში გადაიყვანეს. როდესაც გაიგო, რომ ქალი, რომელსაც მიაკითხა, გარდაცვლილი გახლდათ, ჯერ თავში წაიშინა ხელი, მერე ტირილი დაიწყო, ბოლოს კი თქვა, ჩემი ბრალიაო. ყველაზე მეტად, სამართალდამცავები ბოლო ფრაზამ დააინტერესა.

„ეს ქალბატონი სანანპიროზე გავიცანი. საკურორტო რომანი გულში არც გამივლია, მეც ცოლს დაშორებული ვარ და სერიოზული ურთიერთობა მინდოდა. დავუახლოვდით, რამდენჯერმე შევხვდით, ბოლოს წინა შეხვედრამდე კი მითხრა, ასე მგონია, ვიღაც გვითვალთვალებს, მეშინია, ან შენ, ან მე არ მოგვკლანო. ყველაფერი ეს სასაცილოდ არ მეყო, მაგრამ ვერაფრით ვათქმევინე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, ვისაც ჩვენი მოკვლა შეეძლო. ბოლო შეხვედრისას უკვე საკმაოდ შეშინებული იყო და მითხრა, მე დავინახე ვინც გვითვალთვალებს და აღარ მოხვიდე, უბედურებას ვერ ავცდებითო. რა თქმა უნდა, არც ეს მივიღე სერიოზულად და თბილისში წავედი, რადგან საკმარისი ფული არ მქონდა, რომ საქორწინო ბეჭედი მეყიდა და ხელი მეთხოვა. ფული ავიღე, ჩამოვედი და ეს ამბავი დამხვდა“, – თქვა კაცმა და ჯიბიდან საქორწინო ბეჭედი ამოიღო.

სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ცრუ კვალს ადგნენ და გადაწყვიტეს, დამნაშავე სხვა მხარეს ეძებნათ, მაგრამ სხვა მხარე, უბრალოდ, არ არსებობდა, რადგან ქალის გვერდით, სხვა არავინ დაუნახავთ. დაიწყეს ქმრის ძებნა და მას თბილისში მიაგნეს. ყოფილი ცოლის სიკვდილი არც გახარებია, არც სწყენია, ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვქონდა და მე რა ვიცი, ვინ მოკლა, ეგ ბოზიო. ქალის უწესო ცხოვრებაზე მინიშნება მილიციისთვის ახალი იყო და ამ ვერსიას გაჰყვნენ, თუმცა ამაოდ – არცერთი მეგობარი და არცერთი მეზობელი არ ადასტურებდა, რომ ქალს ან ქმართან თანაცხოვრების დროს, ან მასთან დაშორების შემდეგ, ვინმესთან ურთიერთობა ჰქონდა. ის მოკრძალებულად და მშვიდად ცხოვრობდა. სამაგიეროდ, რამდენიმე მეზობელმა არ დამალა, რომ ყოფილი ქმარი საშინლად ეჭვიანი იყო და ამის ნიადაგზე, კონფლიქტი არაერთხელ მოსვლიათ. მეტიც, ამის გამო, ქმარს ცოლი უამრავჯერ გაულახავს და დაშორების ინიციატორიც, საბოლოოდ, ქალი გახდა, რომელმაც ამდენი ცემა, უბრალოდ, ვეღარ აიტანა.

სამართალდამცავებმა ქმრის ალიბი გადაამოწმეს, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. ის დილით სამსახურში იყო, დღის ბოლოს შინ მიდიოდა, დილით კი ისევ სამსახურში ცხადდებოდა. ერთადერთი ვარიანტი ის გახლდათ, რომ კაცი თბილისიდან სოხუმში უნდა გადაფრენილიყო, მკვლელობა ჩაედინა და უკან გადმოფრენილიყო, მაგრამ აეროპორტში მის სახელზე ბილეთი გაყიდული არ გახლდათ. ავტომობილით კი ამხელა მანძილის დაძლევა, თანაც ასე მოკლე დროში, წარმოუდგენელი გახლდათ.

ყოფილმა ქმარმა ყოფილ ცოლს თავში ჯერ ქვა ჩაარტყა, შემდეგ კი გაგუდა

„ყველა ძაფი ხელიდან გაგვისხლტა, აბსოლუტურად ყველა. სასტუმროს ეზო კარგად იყო დაცული, იქ შემთხვევითი ადამიანი, პრაქტიკულად, ვერ მოხვდებოდა და გადაწყდა, პერსონალი გამოგვეკითხა, თანაც ცოტა მკაცრად, რადგან შეუძლებელი იყო, მათ ვინმე არ დაენახათ, ან არ შეემჩნიათ. დაკითხვებს პირადად ვხელმძღვანელობდი, თუმცა ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა. ყველა იმას იმეორებდა, რომ ლეონოვის გამო, განსაკუთრებით გაფაციცებულები იყვნენ და შესაბამისად, ვერავინ გამოეპარებოდათ, თუმცა ფაქტია, გამოეპარათ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ის იყო, გამომძიებლებს ხელი უნდა ჩაექნიათ, როცა განყოფილებაში სასტუმროს რესტორნის ერთ-ერთი მიმტანი გოგონა გამოცხადდა და...

„წინა დღეს, მეგობრებთან ერთად, ცოტა დავლიე და დილით ნაბახუსევზე ვიყავი. რესტორნის გამგეს რომ შეემჩნია, გამაგდებდა, ამიტომ გულისრევა რომ ვიგრძენი, სასტუმროს ეზოში გამოვედი, ბუჩქებთან მივედი და გულიც იქ ამერია. როცა ვბრუნდებოდი, ერთ-ერთი ბუჩქის უკან მამაკაცი შევნიშნე. მაშინ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ეს მამაკაცი ძალიან ჰგავს იმ ფოტოზე აღბეჭდილ კაცს, რომელიც თქვენს მაგიდაზე იდო“, – განაცხადა მიმტანმა და ხელი... მოკლული ქალის ქმრის ფოტოს დაადო.

გამომძიებლებმა პირი დააღეს. მაშინ ყველაზე სწრაფ მანქანად „ვოლგა“ ითვლებოდა, მაგრამ „ვოლგითაც“ კი შეუძლებელი იყო იმ მანძილის დაფარვა თბილისიდან სოხუმამდე და უკან დაბრუნება იმ დროში, რა დროშიც მკვლელობა მოხდა. ერთადერთი გზა თვითმფრინავი გახლდათ, მაგრამ როგორ მოახერხა კაცმა თვითმფრინავით მგზავრობა ისე, რომ ბილეთი არ შეიძინა? სამართალდამცავებმა აეროპორტის თანამშრომელთა შორის გარდაცვლილის ქმრის მეგობრის, ნათესავის თუ ნაცნობის ძიება დაიწყეს და ასეთს ვერავის მიაგნეს.

„როცა რაღაც არ გამოგვდიოდა ან ლოგიკაში არ ჯდებოდა, დახმარებისთვის გამოცდილ კრიმინალებს მივმართავდი. ასე მოხდა ამჯერადაც, ერთ-ერთ „კანონიერ ქურდთან“ მივედი და ჩემი გასაჭირის შესახებ ვუამბე. საქმე რომ რიგით დანაშაულს შეხებოდა, ქურდი ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ მკვლელობას ვიძიებდი, თანაც, სავარაუდოდ, ცოლის მკვლელობას და მანაც მშვიდად ამიხსნა, რომ აეროპორტში, ნებისმიერ სტიუარდესასთან გასაუბრების შემდეგ, ორმაგი თანხის გადახდის შემთხვევაში, ეკიპაჟის რომლიმე წევრი ბორტზე უპრობლემოდ აგიყვანდა და უპრობლემოდ ჩაგიყვანდა დანიშნულების ადგილზე. ეს მხოლოდ შიდა რეისებზე ვრცელდებოდა ანუ მხოლოდ საქართველოს მასშტაბით“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავები მაშინვე აეროპორტში წავიდნენ, სოხუმის რეისის სტიუარდესა მონახეს, ფული შესთავაზეს და ერთ საათში, ყოველგვარი ბილეთის გარეშე, ორი ოპერმუშაკი თვითმფრინავში იჯდა. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. იმ დღის ეკიპაჟის ყველა წევრი დააკავეს და გამოჰკითხეს. ერთმა სტიუარდესამ და ეკიპაჟის კაპიტნის მოადგილემ მაშინვე ამოიცნეს პირი, რომელმაც წასვლა-წამოსვლაში 500 მანეთი გადაიხადა. ცოლის მკვლელობის ბრალდებით, ყოფილი ქმარი სამსახურში დააკავეს.

„ცოლი სიგიჟემდე მიყვარდა, მაგრამ მუდმივად ვეჭვიანობდი. ასე მეგონა, მას საყვარელი ჰყავდა და ყველა მე დამცინოდა. საბოლოო ჯამში, ყველაფერმა იქამდე მიგვიყვანა, რომ დავშორდით. შერიგებას ვთხოვდი, მის გარეშე სიცოცხლე არ მინდოდა, მაგრამ როცა ვცემე, ორსულად ყოფილა, მუცელი მოეშალა და ეს ვერ მაპატია. მერე სოხუმიდან დამირეკა, ვთხოვდები და იმედია, ახლა მაინც დაისვენებ, შენს ცხოვრებას მიხედავო. ჩავფრინდი სოხუმში და თანაც ისე, რომ ვერავის გაეგო. მოკვლას არ ვფიქრობდი, მაგრამ როცა ეზოში დავიმარტოხელე, პირში მომახალა, ნამდვილი კაცი ვიპოვე, შენს დანახვაზე გული მერევაო. იქვე ქვა ეგდო, თავში ჩავარტყი და შემდეგ გავგუდე. ვიცოდი, ვერ დავთმობდი და ადრე თუ გვიან, მაინც მოვკლავდი, მით უმეტეს, სხვის გვერდით რომ დავინახავდი. ქვა წამოვიღე, ზღვაში გადავაგდე, უკან გამოვფრინდი და დილით სამსახურში ვიყავი“, – აღიარა დაკავებულმა.

სასამართლომ მკვლელობის შემამსუბუქებელ გარემოებად ეჭვიანობა დაასახელა და დაკავებულს მხოლოდ... 8 წელი მიუსაჯა.

რაც შეეხება ლეონოვს, როგორც ამბობენ, მას მომხდარის შესახებ არაფერი გაუგია და მშვიდად მიიყვანა საკუთარი შვებულება ბოლომდე.

თბილისელმა მეეზოვემ საშიში ბანდის ორი წევრი სადისტურად მოკლა, ერთი კი დაჭრა

რატომ იძია შური ხეიბარმა ჯან-ღონით სავსე კაცებზე

ბათო ჯაფარიძე

90-იანი წლების ჭრილობებს ქვეყანა დღემდე იშუშებს. ეს იყო პერიოდი, როცა ქართველებმა ერთმანეთი არ დავზოგეთ და ქუჩაში ადამიანების ჩაცხრილვა, გამოსასყიდის მიზნით გატაცება, ყაჩაღობა, სამოქალაქო ომი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. ამიტომ, აღარავის უკვირდა ვინმეს მკვლელობა, დაყაჩაღება, დაუთოვება, უგზო-უკვლოდ დაკარგვა... ათეულობით ადამიანის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია – ისინი, უბრალოდ, გაქრნენ და სავარაუდოდ, მიწის ქვეშ ან წყლის ფსკერზე განისვენებენ.

„მაშინ მილიცია გვამების მოგროვებით იყო დაკავებული. ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვიტყვი – იყო პერიოდი, როცა გვესმოდა სროლა და არ მივდიოდით, რადგან საკუთარ სიცოცხლეს ვუფრთხილდებოდით. არ გვქონდა ისეთი იარაღი, რომელსაც ავტომატის და არცთუ იშვიათად, ყუმბარმტყორცნის წინააღმდეგ გამოვიყენებდით, ამიტომ როცა ყველაფერი დასრულდებოდა, გვამები პროზექტურაში მიგვქონდა. შემდეგ იყო ძიება და როცა დამნაშავის კვალზე გავიდოდით, ვარკვევდით, რომ მის უკან კარგად შეიარაღებული, ორგანიზებული ბანდები იდგნენ, რომლებიც მზად იყვნენ, მილიციის განყოფილება კი არა, სამინისტროს შენობაც კი შტურმით აეღოთ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ასეთ პირობებში არავის გაჰკვირვებია, რომ ერთ-ერთი საცხოვრებლის სარდაფში გვამი აღმოაჩინეს. ადგილზე გასულ სამართალდამცავებს ფეხებით ჭერზე დაკიდებული მამაკაცი დახვდათ, რომელსაც პირი აკრული ჰქონდა. გვამს სხეულზე ძალადობის კვალი და ჭრილობა არ ეტყობოდა. ექსპერტიზამ დასკვნა დადო – მამაკაცი წამებით მოკვდა, საკმარისზე მეტი დროით იყო ჩამოკიდებული, ამ დროს, ტვინში სისხლის ჩაქცევა ხდება და სიკვდილი გარდაუვალია. გარდაცვლილის ვინაობაც მალე დადგინდა – ერთ-ერთი დაჯგუფების აქტიური წევრი და ამიტომ, სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ ეს რიგითი შურისძიება იყო. მით უმეტეს, მეორე დღეს, გარდაცვლილის უახლოესი მეგობარი, უკვე საკუთარი კორპუსის სარდაფში, ზუსტად იგივე მდგომარეობაში იპოვეს.

„ამ ორს კიდევ ერთი ძმაკაცი ჰყავდა, ეს სამეული მუდმივად ერთად მოძრაობდნენ და ამიტომ, მისი ძებნა დავიწყეთ, თუმცა კვალს ვერ მივაგენით. არც ოჯახმა იცოდა სად იყო, ამიტომ ჩავთვალეთ, რომ ისიც სადღაც მოკლეს და ადრე თუ გვიან, ან ვიპოვიდით, ან – არა. ამის მიუხედავად, უბანში მოვიკითხეთ, ვინმესთან კონფლიქტი ხომ არ მოსვლია ამ სამეულს და ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, სამეული მეეზოვეს ეკამათა, შემდეგ კი ყველაფერი მუშტი-კრივით დასრულდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მეეზოვის ნახვის შემდეგ, სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ ის მომხდართან კავშირში ვერ იქნებოდა. კაცს მეტყველება უჭირდა, ერთი ფეხით კოჭლობდა და როგორც კი გამომძიებლებმა კითხვა სამეულზე დაუსვეს, მათი დასჯა მოითხოვა ანუ ისიც კი არ იცოდა, რომ სამიდან ორი გარდაცვლილი იყო. ყოველი შემთხვევისთვის, ბანდის მესამე წევრის ოჯახის ნომერი მოსმენაზე „დასვეს“ და შედეგიც მიიღეს. გაუჩინარებულმა კაცმა რამდენიმე დღეში დარეკა, დას ფულის მიტანა სთხოვა და ისიც უთხრა, ვიღაც ჩვენზე ნადირობს, სანამ არ გავარკვევ, ვინ არის, ვერ გამოვჩნდებიო.

ფულის გადაცემა სახლთან ახლოს, მცირე სკვერში უნდა მომხდარიყო. სამართალდამცავებმა ყველა გასასვლელი გადაკეტეს და მის გამოჩენას დაელოდნენ. ისიც გამოჩნდა, დისკენ ღიმილიანი სახით გაემართა, როცა გზად ვიღაც გადაუდგა და გულის მხარეს დანა დაარტყა, შეატოვა და გაიქცა. ეს მილიციისთვის იმდენად მოულოდნელი გახლდათ, რომ ყველა დაჭრილს მისცვივდა, თავდამსხმელი კი მშვიდად მიიმალა.

„აღნიშნულ ოპერაციაზე მეც ვიყავი და ბოლო ხმაზე ვღრიალებდი, ყველა საეჭვო პირი გააჩერეთ და გაჩხრიკეთ-მეთქი, თუმცა სამიოდე მოხუცისა და იმავე მეეზოვის გარდა, ვერავინ ვნახეთ. მეზოვე სიხარულით ტაშს უკრავდა, კარგია, რომ მოკლეს, ცუდი კაცი იყოო. როგორც იქნა, თავიდან მოვიშორე და ექიმებს ვემუდარებოდი, დაჭრილი გადაერჩინათ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ექიმებმა სასწაული მოახდინეს და ურთულესი ოპერაციის შემდეგ, დაჭრილი გადარჩა, თუმცა მისი დაკითხვა მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოხერხდა. მისმა ჩვენებამ გამოძიება საერთოდ დააბნია – დაჭრილმა თავდამსხმელი... მეეზოვეს მიამსგავსა. ყველაფერი ეს ზღაპარს ჰგავდა, რადგან მეეზოვე, ნახევრად ხეიბარი კაცი, ჯან-ღონით სავსე სამ თავზეხელაღებულ კრიმინალს ვერ გაუსწორდებოდა, მაგრამ გამომძიებლებს მეტი გზა არ ჰქონდათ, ამ ვერსიაზე უნდა ემუშავათ და ამიტომ, მეეზოვის შესწავლა დაიწყეს. ასეთ დროს, ყველაზე კარგი მთხრობელები კორპუსში მცხოვრები პენსიონერები არიან და ოპერმუშაკებმაც სწორედ მათი გამოკითხვა გადაწყვიტეს, თან უკვე იცოდნენ, რომ მეეზოვე უბრალო კაცი არ იყო, თავის დროზე სადესანტო ნაწილში მსახურობდა, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა, ომის ვეტერანი და ერთ-ერთი გამორჩეული მებრძოლი გახლდათ. ნაღმზე აფეთქების შედეგად კი დაკოჭლდა და კანტუზიამ მეტყველების პრობლემა დაუტოვა.

პენსიონერების გამოკითხვამ სამართალდამცავები საერთოდ გადარია.

„ამ მეეზოვეს ჰგონია, რომ ყველაზე ჭკვიანია და ვერ ვხვდებით, ცოლი რომ გააქრო და მის ნაცვლად, სახლში, ცოლის და ჰყავს. მაგის ცოლს ყველა თითი აქვს, ცოლის დას კი მარჯვენა ხელის ნეკა თითზე, ფრჩხილის ფალანგა აკლია. ჰოდა, ახლა ცოლის და დადის ყოველ დღე სამსახურში, ვითომ ცოლია და ეს მეეზოვეც ისევე აცილებს, როგორც ცოლს, სინამდვილეში კი, ცოლის დაა“, – თქვა ერთ-ერთმა პენსიონერმა.

ეს რაღაც ახალი იყო, ამიტომ გამომძიებლები მეეზოვის პერსონას უფრო ჩაუღრმავდნენ და გაარკვიეს, რომ მის მეუღლეს, ტყუპისცალი მართლაც ჰყავდა. ის სოფელში ცხოვრობდა და ორიოდე კვირის წინ, სოფლიდან დასთან სტუმრად წავიდა. დრო აღარ ითმენდა, მილიციას ზომები უნდა მიეღო – მეეზოვის დაკავების გარდა, უნდა დაეპატიმრებინათ მისი ცოლის დაც. რაც მთავარია, ბინა უნდა გაეჩხრიკათ სდა გაეგოთ, სად იმყოფებოდა ნამდვილი ცოლი. შინაგანად, ყველას ეგონა, რომ მეეზოვემ ის, უბრალოდ, კრიმინალებს მოაცილებინა, შემდეგ კი მათი მოკვლა განიზრახა.

სპეცოპერაციის ჩატარება მაშინ გადაწყდა, როცა მეეზოვე ეზოში იყო, მისი ცოლის და კი – სახლში. სამმა სამართალდამცავმა, ერთი შეხედვით, ხეიბარი მეეზოვე წვალებით გააკავა. შინ შესულებს კი საოცარი სურათი დახვდათ – საძინებელში, ლოგინში რაღაც არსება იწვა, რომელსაც ისე ჰქონდა სახე დასიებულ-დალურჯებული, ვერ გაარჩევდი, კაცი იყო თუ ქალი, ცოლის და კი სასთუმალთან იჯდა და რუდუნებით უვლიდა.

„იმის მიუხედავად, რომ ნახევარი კაცი დავრჩი, ჩემს ცოლს ერთხელაც არ უგრძნობინებია, მიტოვებას ვაპირებო. მას ისევე ვუყვარდი და ისევე მცემდა პატივს, როგორც მაშინ, როცა სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. მეზოვედ მუშაობა იმიტომ დავიწყე, რომ ოჯახში მეც რაღაც შემეტანა, ცოლიც მუშაობდა და წავეშველებოდი. ნახევარ კაცს ვინ მიმიღებდა ნორმალურ სამსახურში, მეეზოვეობა კი არავის უნდოდა. ერთ დღეს დავინახე, ჩემი ცოლი შინ ბრუნდებოდა, ეს სამეული ნასვამი იყო და ერთ-ერთმა უკანალზე ხელი ამოარტყა. ცოლმა ვერაფერი გაუბედა, თავი დახარა და წამოვიდა. მაშინვე მივვარდი, მაგრამ სამი კაცი მომერია, თუმცა ესეც არ იკმარეს – მეორე დღეს, ისევ ნასვამებმა ჩემი ცოლი დაიჭირეს და სასტიკად სცემეს. ამბავი არ გავახმაურე, სოფლიდან ცოლის და ჩამოვიყვანე, ცოლის როლი რომ ეთამაშა, დისთვის მოევლო და მეზობლებს არაფერი გაეგოთ. შურისძიება გადავწყვიტე და ვიცოდი, რომ ცალ-ცალკე ვერ მაჯობებდნენ. ჯერ ერთი დავიჭირე და საქმის გასარჩევად სარდაფში ჩავიყვანე. მედესანტის გამოცდილება გამომადგა, მარტივად გავუმკლავდი და დავკიდე – სასიკვდილოდ გავიმეტე, შემდეგ მეორე და ის მესამე გამექცა. როცა სკვერში ამდენი სამართალდამცავი დავინახე, მივხვდი, მესამეს ელოდებოდნენ, გამოვიცვალე და ვწუხვარ, მიწა კიდევ ერთი ნაძირალისგან რომ არ გავათავისუფლე. მე არსად გავქცეულვარ, უბრალოდ, იქვე, ბუჩქებში, ტანსაცმელი გამოვიცვალე და გამოგეცხადეთ. ჩადენილს არ ვნანობ“, – განაცხადა დაკითხვისას მეეზოვემ.

ორი ადამიანის მკვლელობისა და ერთის მკვლელობის მცდელობის გამო, სასამართლომ დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მან 12 წელი გაატარა, თავისუფლებაზე გამოსულს, ციხის კართან, ცოლი ელოდა!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით, სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, აჭარისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებებისა და სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისსა და ბათუმში სამი პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულნი არიან: 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ქ. (მეტსახელად, „დათო ტბილისკი“), 1961 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ლ. და 1978 წელს დაბადებული ი.კ.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ დ.ქ., საკუთარი და „ქურდული სამყაროს“ სხვა წევრების სახელითა და კრიმინალური გავლენის გამოყენებით, „ქურდული გარჩევის“ გზით, დაშინებითა და მუქარით ცდილობდა პირადი, ასევე, „ქურდული სამყაროსთვის“ მატერიალური სარგებლის მიღებას. იგი გ.ლ.-ის, და ი.კ.-ის, ასევე, 1997 წელს დაბადებული რ.მ.-ის დახმარებით დაუკავშირდა ბათუმში მოღვაწე ბიზნესმენს – 1977 წელს დაბადებულ ვ.მ.-ს და რამდენიმე ათასი აშშ დოლარი მოსთხოვა. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, ბიზნესმენს სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით, ოჯახის წევრების მიმართ ანგარიშსწორებითა და ქონების განადგურებით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ვიდეო-აუდიო გადაღება განახორციელეს, რის შედეგადაც ბრალდებულებისა და მათი თანამზრახველის – რ.მ.-ს დანაშაულებრივი ქმედებებია ასახული.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც ბრალდებულები ერთმანეთს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ სხვა პირებს უკავშირდებოდნენ.

რაც შეეხება რ.მ.-ს, მისი დაკავების მიზნით ტარდება შესაბამისი სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 223-ე პრიმა-3 მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბათუმში ჩადენილი მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბათუმში მომხდარ განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული, ძებნილი პირი – 1974 წელს დაბადებული რ.გ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, ღამით, ბათუმში, მეზობლად მცხოვრებ ძმებს – 1972 წელს დაბადებულ ტ.კ.-სა და 1964 წელს დაბადებულ ა.კ.-ს, მათსავე საცხოვრებელ ბინაში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიღებული დაზიანებების შედეგად, ტ.კ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილი ა.კ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, რ.გ.-ს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა), დაუსწრებლად ბრალი წარედგინა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დაკავებული რ.გ. პენიტენციურ დაწესებულებაშია გადაყვანილი.

პოლიციამ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ბრალდებით, 2000 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი ა.ბ. დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლებას აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში უნებართვოდ შეაღწია სამი მოქალაქის Facebook-ის გვერდებზე. ა.ბ. დაუკავშირდა მათ Facebook-ის მეგობრებს, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა, მოტყუებით გამოართვა ბანკის პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს“ პაროლები, რის საშუალებითაც უნებართვოდ შეაღწია მათსავე საბანკო ანგარიშებზე და სხვადასხვა ოდენობის თანხებს დაეუფლა.

ბრალდებულმა, ასევე, 2021 წლის ოქტომბერში უნებართვოდ შეაღწია თბილისში, თაბორის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის Facebook-ის გვერდზე და აღნიშნული ადამიანის სახელით დაუკავშირდა მის მრევლს. ა.ბ.-მ მრევლს, თითქოს უცხოეთიდან თანხის ჩასარიცხად, მოტყუებით გამოართვა საბანკო პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს“ პაროლები, რისი საშუალებითაც უნებართვოდ შეაღწია მათ კუთვნილ ანგარიშებზე და სხვადასხვა ოდენობის თანხებს დაეუფლა.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ა.ბ., Facebook-ის გამოყენებით, მოტყუებული მოქალაქეებისგან მითვისებულ თანხებს ირიცხავდა ჯერ ონლაინ-კაზინოსა და ტოტალიზატორის ანგარიშზე, ხოლო შემდგომ – საკუთარ საბანკო ანგარიშებზე.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მის პირად კომპიუტერში, სხვადასხვა საქმეზე გამოვლენილი დაზარალებულების Facebook-ის გვერდებზე და საბანკო ანგარიშებზე შეღწევის ფაქტები აღმოაჩინა.

გამოძიების მონაცემებით, ა.ბ.-ის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, ამ ეტაპისთვის 10 დაზარალებული მოქალაქეა, ხოლო ფინანსური ზარალი 100 ათას ლარს შეადგენს. ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და შესაძლოა, დაზარალებულთა რიცხვი 30-მდე გაიზარდოს, ხოლო მიყენებული ზიანის ოდენობამ 300 000 ლარს გადააჭარბოს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევას, რამაც მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი გამოიწვია.

გურიის პოლიციამ ძალადობის ბრალდებით ლანჩხუთში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ფ., ორი პირის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით დააკავა.

დანაშაული ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს, ლანჩხუთში, თავის თანაკლასელს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლანჩხუთის ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივანს – გ.ც.-სა და მის მეუღლეს – ი.ზ.-ს, მათსავე საცხოვრებელ სახლში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ორი პირის მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ბასილაშვილმა კარგად დაიწყო, მაგრამ...

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ისტორია ვერ გადაწერა. სამწუხაროდ, ნიკა „ინდიან უელსის“ მასტერსის ფინალში, ბრიტანელ კამერონ ნორისთან დამარცხდა. არადა, გამარჯვების ძალიან, ძალიან კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა...

პირველი სეტი ნიკამ მძიმედ დაიწყო. მოთამაშეებმა ჩაწოდებები გაცვალეს, მაგრამ მესამე გეიმში, ნორიმ ბრეიკი შეასრულა და წინ გავიდა. ბრიტანელმა თავისი ჩაწოდებაც მოიგო და 3:1 დააფიქსირა. ამის შემდეგ, ბასილაშვილმა უშეცდომოდ ითამაშა, ზედიზედ ორი ბრეიკი შეასრულა და სეტი 6:3 მოიგო.

მეორე სეტი ბევრად დაძაბული გამოდგა. ჩვენებურმა მესამე გეიმში ბრეიკი შეასრულა, წინ გავიდა, თუმცა ანერვიულდა, კამერონმა უკუბრეიკი შეასრულა და თამაშში დაბრუნდა. ეს იყო გარდამტეხი მომენტი, რომ არა ეს ხუთწუთიანი მონაკვეთი, ბასილაშვილი მეორე სეტს და, შესაბამისად, ფინალსაც მოიგებდა. ამის შემდეგ, ორივე ჩოგბურთელი საკუთარ ჩაწოდებაზე დამაჯერებლად ასპარეზობდა. სამწუხაროდ, იმ დროს, როდესაც ანგარიში ნორის სასარგებლოდ 5:4 იყო, ბრიტანელმა კვლავ ბრეიკი შეასრულა და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

მესამე სეტი კი მთლიანად მეტოქის იყო. ნორიმ ჯერ საკუთარი მოწოდება მოიგო, მერე ბრეიკი შეასრულა, შემდეგ კვლავ მოიგო მოწოდება და წინ 3:0 გავიდა. ამასთან, ბრიტანელი შეცდომას პრაქტიკულად აღარ უშვებდა, ბასილაშვილმა კი თავისი ჩაწოდება ისევ დათმო და 1:5 დაფიქსირდა. რაღა თქმა უნდა, კამერონმა ასეთი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, მატჩზე ჩააწოდა და „ინდიან უელსის“ მასტერსი მოიგო.

აღნიშნული ტურნირის ფინალში გასვლით, ბასილაშვილმა მაინც დიდ წარმატებას მიაღწია. ფინალში თამაშით, ბასილაშვილმა 640 ათასი დოლარი და 600 სარეიტინგო ქულა გაინაღდა, თუმცა რომ მოეგო, 1 209 730 დოლარსა და 1000 სარეიტინგო ქულას გამოიმუშავებდა. ახალ მსოფლიო რეიტინგში, ბასილაშვილი მისთვის სარეკორდო, მე-15 ჩოგანი იქნება.

კვეკვესკირი სკანდალში გაეხვა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და პოლონური „ლეხის“ ნახევარმცველი, ნიკა კვეკვესკირი სერიოზულ სკანდალში გაეხვა. 3 ოქტომბერს, ღამით, „ლეხის“ ფეხბურთელები მორიგ გამარჯვებას აღნიშნავდნენ. ბარიდან გამოსულმა ნიკამ კი თავისი „მერსედესით“ ორი ავტომობილი – „რენო“ და „პეჟო“ დააზიანა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ქართველს ჩააბერინეს და მის ორგანიზმში 0.8 პრომილე ალკოჰოლი აღმოჩნდა, რაც დაშვებულზე ბევრია.

გარდა იმისა, რომ კვეკვესკირს მართვის მოწმობა ჩამოართვეს, ხოლო კლუბმა სოლიდური ფულადი ჯარიმა გამოუწერა, საუბარი იყო იმაზეც, რომ შესაძლოა, მისთვის კონტრაქტი გაეწყვიტათ, თუმცა ამ ეტაპზე, კლუბმა რადიკალური ზომისგან თავი შეიკავა.

„ჩემმა გაუაზრებელმა მოქმედებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჩემს თითოეულ ნაბიჯზე ყოველთვის ზედმიწევნით ბევრს ვფიქრობ და ვზრუნავ ჩემს იმიჯზე, კარიერასა და ოჯახზე. ეს იყო ყველაზე მწარე, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვანი გაკვეთილი ჩემს ცხოვრებაში... ყველაფერი გადავაფასე და მივხვდი, თუ რამდენს ნიშნავს ჩემთვის ოჯახი და გუნდი, თუ რამდენად დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა პოზნანის „ლეხის“ მაისურით თამაში... ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც იმედგაცრუებულია ჩემი საქციელით, ბოდიშს ვუხდი კლუბს, გულშემატკივრებს, ოჯახს... ასევე, იმ პატარა ფეხბურთელებს, რომელთაც დადებით მაგალითს უნდა ვაძლევდე. გპირდებით, ვიშრომებ ორმაგად, რათა ხელი შევუწყო გუნდის წარმატებას მიმდინარე სეზონში“, – ეს განცხადება ნიკამ სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

პარიზის გრანდ-სლემი – ოქროს გარეშე, ბრინჯაოს მედლებით

ოლიმპიადის გამო, პარიზის გრანდ-სლემს წელს პეწი დააკლდა. მსოფლიოს უძლიერესმა ძიუდოისტებმა საფრანგეთის დედაქალაქში ჩასვლა არ ისურვეს, ისინი ოლიმპიური თამაშების შემდეგ კუთვნილ შვებულებას ირგებენ და აქცენტს მომავალი წლისთვის აკეთებენ. ამიტომაც იყო, ტურნირზე საქართველოს ნაკრებიც სრული შემადგენლობით რომ არ წავიდა და მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენი წაიყვანა, თუმცა ყველა მათგანმა მედალი მოიპოვა, გარდა ვაჟა მარგველაშვილისა, თუმცა ვაჟას ამის მიზეზი ჰქონდა – მან კოვიდსაწინააღმდეგო აცრა გაიკეთა, თავს სუსტად გრძნობდა და ტურნირის წინა დღეს, მცირე ტრავმაც მიიღო. ამიტომ, ტატამზე მისი გაშვება მწვრთნელებმა აღარ გარისკეს.

რაც შეეხებათ დანარჩენებს, -57კგ-ში მოასპარეზე ეთერ ლიპარტელიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილები და შესაბამისად, ბრინჯაოს მედლები ირგუნეს ლუკა მაისურაძემ (-90კგ) და ონისე სანებლიძემ (-100კგ). რაც შეეხება ტატო გრიგალაშვილს (-81კგ), მან ფინალამდე საოცრად იარა, იქ კი იაპონელ მეტოქესთან ორი ვაზარით დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

შენგელია ორი თვე იუჭმებს

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია საუცხოო ფორმაში გახლდათ და ევროლიგაზე, ზედიზედ ორ შეხვედრაში გუნდს ულიდერა კიდეც. მისი თამაშით არა მარტო ცსკა-ს მწვრთნელი და გულშემატკივრები იყვნენ კმაყოფილნი, არამედ, ექსპერტებიც აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ცენტრი ფორმის პიკში შედიოდა, თუმცა...

„ზენიტთან“ შეხვედრაში, თორნიკე უხერხულად დაეცა და მხარი იტკინა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ტრავმა სერიოზული არ იქნებოდა, თუმცა დეტალურმა კვლევამ სხვა შედეგი აჩვენა. შენგელია პარკეტზე გასვლას უახლოესი ორი თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს.

ლაპორტამ აღიარა – მესის ხელფასისთვის სესხი არცერთმა ბანკმა არ გასცა

კატალონიური „ბარსელონას“ პრეზიდენტი, ხუან ლაპორტა ჟურნალისტებს შეხვდა და კლუბში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა. ესპანური გრანდის პირველი პირი ყველანაირად ეცადა, ლიონელ მესის თემას არ შეხებოდა და ისე ჩანს, მას რამდენიმე ჟურნალისტი გაფრთხილებულიც ჰყავდა, რომ კითხვები სხვა მიმართულებით დაესვათ, თუმცა მედიის არაერთმა წარმომადგენელმა მოისურვა არგენტინელის თაობაზე კითხვის დასმა და ლაპორტაც იძულებული გახდა, ეპასუხა.

„ასეთი ფინანსური მდგომარეობა „ბარსელონას“ არასოდეს ჰქონია. ჩვენი სახელფასო ფონდი არა მარტო ესპანეთში, არამედ, მთელ ევროპაში ყველაზე მაღალი იყო, გასავალი შემოსავალს 50%-ით აჭარბებდა და გუნდის ხელმძღვანელობა ვალს ვალზე იღებდა. როცა პრეზიდენტი გავხდი, პირველი, რაც გავაკეთე, მესის დავუძახე და ხელფასის დაკლებაზე დაველაპარაკე. ის დამთანხმდა, ხელფასის ლამის ერთი მესამედით შემცირებაზეც კი წამოვიდა და მე სასაყვედურო არაფერი მაქვს. გუნდის სალაროში კი ეს ფულიც არ იყო. მე პირადად დავიარე ყველა ბანკი და ყველასთან ერთი ტექსტით მივდიოდი – მასესხეთ ფული, რათა ლეოს ხელფასი გადავუხადო და შევინარჩუნო. როცა ბანკები იგებდნენ, რომ „ბარსას“ 1.35 მილიარდი ევროს ვალი ჰქონდა, ცივ უარს ამბობდნენ. საბოლოოდ, იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ მე ფულს არავინ მომცემდა და მესიც გუნდიდან წავიდა“, – განაცხადა ლაპორტამ.

ყველაზე მდიდარი კლუბის ისტორია მარცხით დაიწყო

მას შემდეგ, რაც გასულ კვირას „ნიუკასლი“ არაბმა შეიხმა შეიძინა, რომლის ქონებაც 320 მილიარდადაა შეფასებული, ინგლისური კლუბი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი გახდა. რა თქმა უნდა, ერთ კვირაში შეიხი ვერაფერს შეძლებდა, თუმცა გუნდის საშინაო მატჩს „ტოტენჰემთან“ დაესწრო და ნერვიც არ შეტოკებია, როცა მისი პირმშო 2:3 დამარცხდა. მატჩის მიმდინარეობისას ორი რამ მოხდა, რამაც მსოფლიო ყურადღება მიიპყრო. თამაშის დროს, ერთ-ერთ ქომაგს გულის შეტევა დაემართა და სანამ ის სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში არ გადაიყვანეს, ფეხბურთელებმა შეხვედრა არ გააგრძელეს.

რაც შეეხება მეორე მოვლენას, სუფთა სპორტული თვალსაზრისით, ეს უფრო სიანტერესოა. „ტოტენჰემის“ კაპიტანმა, ჰარი კეინმა გუნდის სამი გოლიდან ერთი გაიტანა და ახალი რეკორდი დაამყაარა. 28 წლის თავდამსხმელმა პრემიერლიგაში 128-ე გასვლითი შეხვედრა ჩაატარა და 88-ე გოლი გაიტანა. ამ შედეგით კი მან ლეგენდარულ ალან შირერს გადაასწრო, რომელსაც პრემიერ ლიგის 219 გასვლით მატჩში 87 გოლი ჰქონდა გატანილი. პირველ ადგილს კი უეინ რუნი იკავებს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა 243 გასვლით შეხვედრაში 94 გოლი გაიტანა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ რუნიმ კარიერა დაასრულა, კეინს კი ჯერ ყველაფერი წინ აქვს, აბსოლუტურ რეკორდამდე დიდი დრო არ რჩება.

ბარბარა ნოაკი
მთარგმნელი ნათია იაკობიძე

მე და ჩემი მე

მიუნხენიდან ბრიუსელში გავფრინდი და აღმოსავლეთის მატარებელში ავედი.

ციურიხელი მეგობრები მელოდნენ, რათა ლონდონში ერთად გავფრენილიყავით.

შემოდგომა იყო, კვირა, ნასადილევი და წვიმდა. წვიმა ირიბად ეცემოდა ხასხასა მდელოს. ჰაერში ბობოქარი ქარის საპირისპიროდ მოლივლივე ჩიტები გაშეშებულიყვნენ.

მოძრავი შავი ღრუბლები, რომელთაც კუპის ფანჯრიდან ვუმზერდი, მადარდიანებდნენ.

შემოდგომის მელანქოლია.

ერთ-ერთ სადგურზე ცოტა ხნით გაჩერების შემდეგ, მატარებელი კვლავ ამოძრავდა. უცებ ვიღაცამ კარი გამოგლიჯა. კუპეში გოგონა შემოიჭრა და ქშენითა და სწრაფი ველური მოძრაობით ჩემი სიმშვიდე დაარღვია. ერთადერთი ტვირთი – ღია წითელი გადასაკიდებელი ჩანთა მხრიდან ჩამოუცურდა და თავდაყირა დაეცა. ვიწრო გასასვლელში, პლუსეს სკამებს შორის დაგორავდა პომადა, კალამი, საყურე, ხურდა, სანთლები, კრემი. აჩქარებული მოძრაობით დაიწყო ნივთების აკრეფა, ჩემს მაღლა აწეულ ფეხების ქვეშაც კი.

თან ღიმილით სინანულსაც გამოთქვამდა:

– მაპატიეთ, მადამ!

ჩანთაში დააბრუნა გადმოვარდნილი წერილი, საფულე, დღიური, სათამაშო ბაყაყი, პუდრი, რომელიც გადმოვარდნისას ნაწილებად დაიშალა და ჭუჭყიანი გასასვლელი ატმისფრად დამტვერა, დაკარგულკბილებიანი სავარცხელი, წითელკოპლებიანი ბავშვის თუთოჯინის ღამის პერანგი, დამჭკნარი წითელი ვარდი, ბილეთი, კბილის პასტა, ტამპონი და არაქათგამოცლილი ფანჯარასთან ჩემს წინ დაჯდა.

წიგნი ისე დავიჭირე, თითქოს ვკითხულობდი. გოგონას ხმის ამოღება არ სურდა. არც მე ვიყავი ფრანგულად საუბრით დაინტერესებული.

დიდი მუქი ლურჯი მეოცნებე თვალები იმზირებოდნენ ფანჯრიდან. ჩანთის შიგთავსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სურდა, ერთი ღამე საკუთარ თავთან ჩაკეტილიყო.

მის უცოდველ თვალებს კვლავ კარგის, კეთილშობილების სწამდათ. უეცარი გამოჩენა, ღია ჩანთა, თვალები, პირი ფართო სახეზე ჩემთვის ნაცნობი იყო. სადღაც მენახა, მაგრამ ვერ ვიხსენებდი, როდის და სად.

კითხვაში ჩაფლულმა გავიგონე კალმის ფხაჭნა ქაღალდზე.

ფანჯრის მიღმა ბინდი ჩამოწვა. კუპეში შუქი აინთო. ახალგაზრდა წინწახრილი იჯდა და მუხლებზე დადებულ დღიურში რაღაცას წერდა, სქელი წაბლისფერი თმა ნახევრად უფარავდა სახეს. ის წერდა და ბროშურის ბოლო გვერდებს ავსებდა.

საფულეში წერილი მოძებნა, კონვერტში ჩადო და ზედ პატარა მოკლე სიტყვები დააწერა.

ჩემი მზერა არ აღიზიანებდა. ჩანდა, დავიწყებოდა, მის პირდაპირ რომ ვიჯექი. შემეძლო წიგნის ნაპირიდან დეტალურად დამეთვალიერებინა. აწეული თეთრი საყელო მუქლურჯ პულავერზე, დეკოლტეთი. მოკლე ხვეულებიანხაზებიან ქვედაბოლოში მუხლის ზემოთ ფართო მაშია ჩანდა. ძლიერი სისხლსავსე გოგონა, მუდამ მოძრაობაში.

თმის ტალღებს უკან ისროდა, როცა დასაფიქრებლად ნაწერიდან ზევით აიხედავდა ხოლმე.

და კიდევ, კონვერტის გარეთა მხარე დაჯღაბნილი იყო. სხვა არაფერი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ აზრები აწუხებდა, რომელიც დაუწერელი უნდა დარჩენილიყო. ჩანთაში ხელი ჩავყავი, ჩემი დღიურიდან რამდენიმე უჯრიანი ფურცელი ამოვხიე და მივაწოდე.

მისი თვალები უნდობლად აციმციმდა.

– მადამ! როგორ მიხვდით? – გაბედნიერებულმა მოკლედ გადამიხადა მადლობა და ჩემი ფურცელი მფრინავი შრიფტით გაავსო.

მატარებელი გაჩერდა.

გოგონამ უცებ ზევით აიხედა და წამოიყვირა. ცარიელი ფურცლები ჩანთაში ჩატენა და ჩანთა იღლიის ქვეშ ამოიჩარა.

– მშვიდობით, მადამ. დიდი მადლობა!

კალამი ისევ ხელში ეჭირა, კუპის კარი გამოაღო და უკვე დაძრული მატარებლიდან გადახტა. შუა სკამზე მისი კაპიშონიანი ქურთუკი იდო.

გასასვლელში გავვარდი, ფანჯარა გამოვაღე, დავიყვირე 'მადმუაზელ~ და ქურთუკი ბაქანზე ვისროლე.

მიმოიხედა. ქსოვილის გროვაზე მივუთითე. ჩანდა, ქურთუკი არც ახსოვდა. შუბლი მოიჩრდილა და მადლობის ნიშნად ორი კოცნა გამომიგზავნა.

ცოტა დაღლილი დავბრუნდი ჩემს ადგილას, ფანჯარასთან და სიბნელეში ჩავიძირე.

და მე უკვე ვიცოდი, ვის მაგონებდა ეს ტემპერამენტიანი სწრაფი ბელგიელი გოგონა ბავშვის კრემით და მუდმივად მოძრავი თმის ტალღებით, ცნობისმოყვარე დიდი ცელქი თვალებით, კუპეში გადაყირავებული ინტიმური ცხოვრებით და უზომო წერის მანიით – საკუთარ თავს ოცი წლის ასაკში.

ამ აღმოჩენამ ამაღელვა: ხშირად არ ზიან საკუთარი თავის პირისპირ.

დიახ, ასე გამოვიყურებოდი მაშინ, ასეთი ვიყავი ოდესღაც.

მე მოხუცი ვიყავი. 43 წლის. ზრდადასრულებული, გამოცდილი, დაფიქრებული, ილუზიებით გაღარიბებული.

ამ ხნის განმავლობაში პროფესიულ სფეროში მივაღწიე იმას, რაზეც ბელგიელი გოგონა კვლავ ოცნებობდა – წარმატებული ავტორი ვიყავი, მაგრამ ამასობაში წერის ეიფორია დამეკარგა. ხანდახან მძულდა თვეობით იზოლაცია საწერ მაგიდასთან. სიტყვა-სიტყვით, აბზაც-აბზაც, გვერდი-გვერდ. ასობით გვერდი, რომელიც არაერთგზის დაუწერელი უნდა დარჩენილიყო.

როგორი დაძაბულობაა საჭირო, როცა არავინ იცის, წიგნი წარმატებული იქნება თუ დრო და გარჯა წყალში ჩაიყრება. ამით ჩემი პატარა ოჯახის არსებობასაც საფრთხე ექმნება. დიახ, ძალიან შევიცვალე ბოლო 23 წელში.

მატარებელი გაჩერდა.

გაჩერდა დიდხანს.

აზრად მომივიდა, ფანჯრიდან გამეხედა.

აღმოსავლეთი.

ბოლო გაჩერება.

როცა მძიმე ჩემოდანს ვაგონის ფრიალო საფეხურზე მივათრევდი, ჩანთა მხრიდან ჩამომიცურდა და თავდაყირა დაეცა. პომადა, ბურთულიანი მილაკი, ფანქარი, ტამპონი, თმის ლაქი ჩემს ციურიხელ მეგობრებს ფეხებზე დაეყარათ.

– ასე გვიან რატომ მოდიხარ? სხვები დიდიხანია ჩამოვიდნენ; წასვლას ვაპირებდით; ვიფიქრეთ, რომ მატარებელზე დაგაგვიანდა, – მსაყვედურობდნენ ერთი მეორის მიყოლებით.

ბელგიელი გოგონა, იგივე ახალგაზრდა მე. ამ ხნის მანძილზე უფრო გამოცდილი, უფრო წინდახედული გავხდი? თუ მხოლოდ ასაკი მომემატა?

ჩვენს შორის მსგავსება არსებობს.

ეს ეჭვგარეშეა.

ქანდაკება, რომელიც "იძირება"

მექსიკელმა მხატვარმა-ჰიპერრეალისტმა რუბენ ოროსკომ, მდინარე ნერვიონში, რომელიც ესპანურ ბილბაოს კვეთს, გოგონას თავის უჩვეულო ქანდაკება დადგა. ნამუშევარს Bihar ეწოდება, რომელიც ბასკურიდან ითარგმნება, როგორც – "ხვალ". ქანდაკება საქველმოქმედო ფონდისთვის შეიქმნა, რათა კიდევ ერთხელ მიაქციონ ყურადღება იმ ფაქტს, თუ რა გავლენა აქვს ადამიანს გარემოზე. მხატვარის აზრით, ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ "ჩვენი ქმედებები ჩვენ ან ჩაგვძირავენ, ან ზედაპირზე გვატივტივებენ".

ქანადაკება, რომლის ზომებიც – 2X2-ზე, ხოლო სიმაღლე – 17 მეტრია, დაახლოებით, 10 წლის გოგონას გამოსახავს – ყავისფერი თმითა და ცაში მოცქირალი დიდი, ყავისფერი თვალებით. 120-კილოგრამიანი ფიგურა ყოველდღე წყალში იძირება და შემდეგ ისევ ზემოთ ამოდის. ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობამ არაფერი იცოდნენ ოროსკოს ნახელავის შესახებ და მის დანახვაზე, შესაბამისი რეაქციებიც გამოხატეს.

ნიუ-იორკში ახალი ღირსშესანიშნაობა გაჩნდა

აშშ-ს უდიდეს მეგაპოლისში ახალი, სულისშემძვრელი ღირსშესანიშნაობა გაჩნდა. ცათამბჯენ One Vanderbuilt-ზე, 300 მეტრის სიმაღლეზე, დასათვალიერებლი მოედანი გაიხსნა, რომელსაც გამჭვირვალე იატაკი აქვს. მოედანი შენობის ბოლო ოთხ სართულს იკავებს. მის ერთ ნაწილში ინსტალაციაა, რომელიც რამდენიმე სარკისებურ ოთახს აერთიანებს. ყველაზე გაბედულებისთვის კი ორი გამჭვირვალე ლიფტია, რომლებიც ცათამბჯენის გარეთა მხრიდან მოძრაობს. დასათვალიერებელი მოედანი სულ მალე გაიხსნება, ბილეთის ღირებულება კი 39 დოლარი იქნება.

საქორწინო თაიგული სიძისგან?!

ამომავალი მზის ქვეყანაში, ნელ-ნელა მოდაში შედის ქორწილები ევროპულ სტილში: პატარძლები – თეთრი კაბებითა და ფატებით, ერთნაირად გამოწყობილი მეჯვარეებითა და თაიგულის გადაგდებით გასათხოვარი გოგონების გუნდში. თუმცა, იაპონელმა ახალგაზრდებმა დასავლურ ტრადიციაში საკუთარი "წვლილიც" შეიტანეს – პატარძლის ნაცვლად, საქორწინო თაიგულს სიძე ისვრის... ცხადია, დასაოჯახებელი მეგობრების გუნდში და რაც მთავარია, ესაა ბროკოლის თაიგული. ამ ბოსტნეულს ბევრი ტოტი აქვს, რაც იაპონიაში დიდი და მყარი ოჯახის სიმბოლოდ ითვლება. ამბობენ, რომ ვინც ბროკოლის თაიგულს დაიჭერს, ბედნიერი ოჯახური ცხოვრება ექნება, ბევრი შვილი და შვილიშვილი ეყოლება. თაიგულისთვის მხოლოდ ნამდვილ და ლამაზი ფორმის ბროკოლს ირჩევენ, რომელსაც ყვავილებითა და ფერადი ბაფთებით რთავენ. ზოგიერთი სასიძო ორიგინალობას იჩენს და ბოსტნეულის ნაკრებში მაიონეზის პაკეტსაც ამატებს, რათა სმისმა მეგობრებმა თაიგული გემრიელად მიირთვან.

აცრილებისთვის ჯილდო დააწესეს

შვეიცარიის ხელისუფლებამ მატერიალური წახალისება შემოიღო იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციას ჩაიტარებენ. საქმე ის არის, რომ აცრის კამპანია, მთავრობის შეფასებით, არასაკმარისად სწრაფად მიმდინარეობს. ამიერიდან, ყოველი ვაქცინირებული, პრემიის სახით, 50 შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს. ნებისმიერ ახალ აცრილს შეუძლია დაასახელოს ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი აცრის გადაწყვეტილების მიღებაში და მადლიერების ნიშნად, ეს ადამიანიც დაჯილდოვდება – ფოსტით მიიღებს კუპონს 50 ფრანკის ოდენობით. ამჟამად, ქვეყანაში ორჯერადად აცრილი მოსახლეობის 57%-ია.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲫᲔᲑᲜᲘᲜᲐ

თურქეთში, ბურსას ტყეში, მთვრალი მამაკაცი სამართალდამცველებს საკუთარი თავის მოძებნაში ეხმარებოდა. 50 წლის ბეიჰან მუთლუ, მეგობრებთან ერთად ბუნებაში ისვენებდა. ნასვამი ტყეში ღრმად შევიდა და გაუჩინარდა და მის მოსაძებნად, მეგობრებმა პოლიცია გამოიძახეს, საქმეში მოხალისეებიც ჩაერთნენ. როდესაც მთვრალმა კაცმა მაძებერთა გუნდი დაინახა, მათი დახმარება გადაწყვიტა, თუმცა არ იცოდა, ვის ეძებდნენ. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როდესაც მოხალისეებმა დაკარგული კაცის სახელი ხმამაღლა დაიძახეს და პასუხი მათ გვერდით მდგომმა პირმა გასცა.

ᲡᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲔᲡ

ამერიკელმა მკვლევარებმა სასიკვდილო ასაკობრივი დაავადებების წინააღმდეგ შექმნილი პრეპარატები ადამიანებზე გამოსცადეს. ეგრეთ წოდებული, სენოლიტიკები დაბერების საწინააღმდეგო წამლებია. ამ მედიკამენტს დამიზნებით, დაბერებული უჯრედების სიკვდილის ინიცირება შეუძლია. საქმე ის არის, რომ დაბერებული უჯრედებისგან ორგანიზმის გათავისუფლება, ასაკის მატებასთან ერთად, საკმაოდ ნელდება. დაზიანებული უჯრედები გროვდება და ის ტოქსიკური ხდება გარშემო არსებული ქსოვილებისთვის. ეს ხელს უწყობს უამრავი ასაკობრივი დაავადების განვითარებას, მათ შორის, ფილტვების ფიბროზსაც. სწავლულების პირველ ექსპერიმენტულ კვლევაში, ამ დიაგნოზის მქონე 14 მოხუცი მონაწილეობდა. სენოლიტიკების მიღების შემდგომ მათი მდგომარეობა, განსაკუთრებით კი მოძრაობის უნარი გაუმჯობესდა. სპეციალისტების თქმით, აქამდე არც ერთ სამკურნალო თერაპიას, მათ შორის, ხელმისაწვდომ ანტიფიბროზულ პრეპარატებსაც კი ასეთი შედეგი არ ჰქონია. ჯერჯერობით, სწავლულები შორსმიმავალ დასკვნებს არ აკეთებენ, რადგან კვლევა მცირე რაოდენობის პაციენტებზე ჩაატარეს და ასევე, მასში არ იყო ჩართული პაციენტთა საკონტროლო ჯგუფი.

სპეციალური ჭოგრიტი დალტონიკებისთვის

აშშ-ში, ტენესის შტატში, ტურიზმის საბჭომ გადაწყვიტა, შემოდგომის ლამაზი ფერებით ტკბობაში დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებიც ფერებს ზუსტად ვერ აღიქვამენ. მათთვის 12 ადგილზე სპეციალური ჭოგრიტები დაამონტაჟეს, რომლებიც EnChroma-ის ლინზებითა და ოპტიკური ფილტრებითაა აღჭურვილი. მისი საშუალებით, დალტონიკებს შეეძლებათ, გარემო ჩვეულებრივ ფერებში აღიქვან. ეს მოწყობილობა ჯერ კიდევ 2017 წელს შეიქმნა. ცნობილია, რომ დალტონიზმი რამდენიმე ტიპისაა: როდესაც დაქვეითებულია ან არ არსებობს წითელი, მწვანე ან ლურჯი ფერის აღქმა. შტატის ადმინისტრაციაში იმედოვნებენ, რომ ასეთი ჭოგრიტები გაამართლებს და დალტონიკებისთვის მსგავს მოწყობილობას უფრო მეტ ადგილას განათავსებენ.

წყლის დაბინძურების პრობლემა გადაიჭრება



ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად, 20 წლის სტუდენტმა, ბოიან სელტმა შეიმუშავა ტექნოლოგია Ocean Cleanup (ოკეანის გამწმენდი), რომელიც წყალს მარტივად გაასუფთავებს ნაგვისა და პოლიეთილენის ნარჩენებისგან. ამ გამოგონების "მთავარი აგრეგატი" ლათინური V-ს ფორმის მოტივტივე ბარიერების მწკრივია, რომლებსაც ფსკერზე ამაგრებენ, რათა ბუნებრივი დინებების მიერ მოგროვილი ნაგავი "დაიჭიროს". ეს ორკილომეტრიანი მოწყობილობა ზღვის ბინადრებს მის ქვეშ ცურვის საშუალებას მისცემს, აგრეგატში კი ნაგავი დარჩება, რომელიც წყალზე მსუბუქია და ზედაპირზე ტივტივებს. Ocean Cleanup-ის ამოქმედება კუნძულ ცუსიმასთან იგეგმება, რადგან ის მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებულ მონაკვეთად ითვლება. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, ზღვებსა და ოკეანეებს, დაახლოებით, 10 წელიწადში გაწმენდენ.

ხელოვნური ტვინი გამოზარდეს

ბრიტანელმა ნევროლოგებმა ადამიანის ტვინი კანის უჯრედებისგან გამოზარდეს. სამეცნიერო კვლევები კემბრიჯის ლაბორატორიაში მიმდინარეობდა. ამ ურთულესი ექსპერიმენტის ავტორია ნეირობიოლოგი მედლინ ლანკასტერი. ტვინი უამრავი რაოდენობის ნეირონებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სინაპსებით ანუ არსებობს ურთულესი ნეირონული ქსელი, რომლის თეორიული შესწავლა შესაძლებელია. პრაქტიკული ცდებისთვის, ლანკასტერმა მიკროსკოპული ტვინი გამოიყვანა. წარმატების მისაღწევად მან კანის ნიმუშებისგან აღებული ღეროვანი უჯრედები გამოიყენა, რომლებიც გარკვეული ვიტამინებითა და საკვები ნივთიერებებით დაამუშავა. ამის შემდეგ, მასალა ბიოგელში მოათავსა გამოსაზრდელად. მართალია, ნეორობიოლოგის მიერ მიღებულ ტვინს არ აქვს შეგრძნებებისა და გრძნობების უნარი, თუმცა ტვინის ხელოვნული მოდელი მეცნიერებს დაეხმარება გულდასმით გაერკვნენ ისეთ პრობლემებში, როგორებიცაა შიზოფრენია, აუტიზმი და სხვა ნევროზული აშლილობები.

ნაგვისგან ავტომობილი შექმნეს

ნიდერლანდელმა სტუდენტებმა ედინბურგის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან, მცირე ზომის ავტომობილი luka შექმნეს, რომლისთვისაც გადამუშავებული ნაგვისგან მიღებული მასალა გამოიყენეს. ავტომანქანის სერიული წარმოება არ იგეგმება. სტუდენტების თქმით, მათი მიზანია, საზოგადოებას აჩვენონ, რომ გადამუშავებული ნაგავიც ძვირფასი ნედლეულია. ახალ ავტოს ორი ელექტროძრავა აქვს, ის მსუბუქია და საათში 90 კილომეტრის დაფარვა შეუძლია. დამუხტვა 220 კილომეტრის გავლის საშუალებას იძლევა. მანქანა ორადგილიანია, თუმცა მცირე ბარგის გადატანაც შესაძლებელია.

სწავლის საფასურს ქოქოსით იხდიან

კუნძულ ბალიზე, ტეგალალანგეს ტურიზმის აკადემიამ Venus One Tourism Academy, პანდემიის გამო შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, სტუდენტებს ნება დართო, სწავლების საფასური ქოქოსის კაკლით და კვების სხვა პროდუქტებით გადაიხადონ. დაწესებულების დირექტორის თქმით, ვირუსუს გამო შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, გადასახადის პოლიტიკა შეცვალეს და ის უფრო მოქნილი გახადეს – რაკიღა აცადემია ქოქოსის ზეთს აწარმოებს, ფულის ნაცვლად, სტუდენტებს მისი ჩაბარება შესთავაზეს. ქოქოსის გარდა, მოსწავლეებს შეუძლიათ, მორინგასა და გოტა კოლას – სამკურნალო მცენარეების ფოთლები ჩააბარონ. მათ კოსმეტიკასა და საკვები დანამატების წარმოებაში იყენებენ.

„გამოსაცვლელი“ აპლიკაცია ვიდეოკონფერენციებისთვის

პანდემიამ სწავლულებს ახალი გამოგონებებისკენ უბიძგა. ასე, მაგალითად, იაპონელებმა კამერისთვის სპეციალური აპლიკაცია შექმნეს, რომელიც თემატურად „გამოუცვლის“ ტანსაცმელს მომხმარებელს Zoom-ში, ვიდეოკონფერენციის დროს. ამგვარად, მომხმარებელს შეუძლია, ეკრანის წინ პიჟამაში გამოწყობილიც კი დაჯდეს, სამაგიეროდ, მოვლილ-დავარცხნილი და საქმიანად ჩაცმული გამოჩნდება. საამისოდ, ვიდეოკამერის პარამეტრებში უნდა აირჩიოთ Xpression camera და ნებისმიერი გამოსახულება, რომლის გამოყენებაც გსურთ ვიდეოზარის დროს. პროგრამა არჩეულ გამოსახულებას რეალურ დროში აჩვენებს ადამიანის გამომეტყველების, ხმისა და მოძრაობების მიხედვით. გარდა საქმიანი სტილისა, შეგიძლიათ, ონლაინ-შეხვედრაზე ილონ მასკის ან საყვარელი თამაშის პერსონაჟის სახით წარსდგეთ. აპლიკაცია გამოდგება Twitch, Microsoft Teams და Google Meet-ში ზარებისთვის.

მზის "ჩაქრობა" გლობალური დათბობის წინააღმდეგ

ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტის სწავლულები, გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად, მზის ცოტა „დაბნელებას“ გვთავაზობენ. საუბარია სტრატოსფეროში ქიმიური ნივთიერებების გაფრქვევაზე, რათა დედამიწაზე მზის გამოსხივება „შერბილდეს“. ასეთი „ინექციისთვის“, თვითმფრინავების საშუალებით, სტრატოსფეროში, 20 კილომეტრის სიმაღლეზე სულფატებს გააფრქვევენ. თუმცა, ამავდროულად, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით, უზარმაზარი რაოდენობით ქიმიკატების თვითმფრინავიდან გაშვება შეუძლებელია. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს პროგრამა 15 წლის შემდეგ განხორციელდება, რაც დაახლოებით, 3.5 მილიარდი დოლარი დაჯდება. ზოგიერთი მკვლევარი შიშობს, რომ მზის „დაწევის“ ასეთი მეთოდი ნეგატიურად იმოქმედებს ამინდზე, გამოიწვევს გვალვას და მოსავლის დაღუპვას.

პიცას იარაღზე ცვლიან

აშშ-ში, ქალაქ ინდიანაპოლისში მდებარე პიცერია D&C Pizza, უნიკალურ სერვისს სთავაზობს კლიენტებს – ის ერთ დიდ პიცას ცეცხლსასროლ იარაღში ცვლის. მიუხედავად იმისა, რომ იარაღი გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე თუნდაც ყველაზე დიდი პიცა, უფროსი ასაკის ასობით ადამიანი და ახალგაზრდაც სიამოვნებით გამოეხმაურა დაწესებულების ამ წამოწყებას და ისარგებლა მათი შეთავაზებით – არალეგალური ცეცხლსასროლი იარაღი უფასო პიცაზე გაცვალეს. პიცერიის მფლობელის განცხადებით, მისი მიზანია, რომ რაიონი, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს და ასევე, მთელი ქალაქიც, უფრო უსაფრთხო გახდეს. აღსანიშნავია, რომ ინდიანაპოლისი ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ქალაქად მიიჩნევა აშშ-ში. აქ ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 17 მკვლელობა მოდის, რომელთა უმრავლესობაც მოზარდების ჩადენილია.

ვახშამი ნაგვის კონტეინერში

აშშ-ს ქალაქებში, ნიუ-იორკსა და სან-ფრანცისკოში ახალი სერვისი გაჩნდა – ვახშმის ორგანიზება ნაგვის კონტეინერში, რომელიც საკვების მიღებისთვის შესაბამისადაა მოწყობილი. ვისაც სურვილი აქვს, ამ სიამოვნებაში 80 დოლარს იხდის და მიუხედავად იმისა, რომ კერძების მოსამზადებლად საჭირო პროდუქტებს უვარგისი შეხედულება აქვს ან მოხმარების ვადა გასდის, მას პროფესიონალი მზარეულები ამზადებენ. ნებისმიერი კერძი უსაფრთხოა, თანაც გემრიელი და ნოყიერი. პროექტი, რომელსაც Salvage Sup perclub უწოდეს, კვების ნარჩენებზე ადამიანების გაცნობიერებასა და მათ შესამცირებლად თანხების მოგროვებიკენაა მიმართული. ნაგვის კონტეინერში ვახშმობა ერთდოულად 16 ადამიანს შეუძლია, თავად ვახშამი კი 6 კერძისგან შედგება.

პლანეტის ყველაზე დიდი სასაფლაო



ვადი ას-სალამი ყველაზე დიდი სასაფლაოა არა მხოლოდ ერაყში, არამედ, მთელ მსოფლიოში, რომელიც დაახლოებით, 1400 წლის წინ დაარსდა. აქ დასაფლავებაზე მილიონობით შიიტი ოცნებობს, რადგან ვადი ას-სალამზე მდებარეობს ალის – წინასწარმეტყველ მუჰამედის ძმის, პირველი იმამის საფლავი. ლეგენდის მიხედვით, ამ გიგანტურ სასაფლაოზე სასწაულები ხდება: ადამიანებს იმამის აჩრდილი ეჩვენებათ, რომელიც ადრე თუ გვიან დაბრუნდება, რათა სიმართლით მართოს სამყარო. ყოველდღიურად, ამ სასაფლაოზე ასობით ადამიანს – ჯარისკაცებსა თუ მშვიდობიან მოქალაქეებს – ომის მსხვერპლთ მარხავენ, რაც წლების მანძილზე გრძელდება. ამჟამად, ვადი ალ-სალამზე, დაახლოებით, 5 მილიონი ადამიანია დასაფლავებული. შიიტები მთელი ერაყიდან და ირანიდან იქ, ახლობლების საფლავების მოსანახულებლად ჩადიან. მავზოლეულში, რომელიც ღირსშესანიშნაობად ითვლება, "სელფებსაც" კი იღებენ. სასაფლაოს ფართობი ნელ-ნელა იზრდება და დღეისთვის, 600 ჰექტარია.

ყველაზე უჩვეულო სასტუმროები

ფუფუნება და ეგზოტიკა – ესაა მსოფლიოს უჩვეულო სასტუმროების ძირითადი მახასიათებლები, რომელთა ყოველწლიური რეიტინგი გამოცემა Lonely Planet-მა გამოაქვეყნა. სიაში პირველ ადგილზეა ინდოეთში მდებარე სასტუმრო კომპლექსი "მიხერ გარხი", რომელიც ქვიშის დიუნაზეა განთავსებული. აქ ლუქსის კლასის 9 აპარტამენტია, თითოეულ მათგანს საკუთარი აუზი და ბუხრები აქვს. მეორე ადგილზეა ბოტსვანაში მდებარე სასტუმრო, რომელიც ქოხებისგან შემდგარი კომპლექსია და მთლიანად თივითა და თიხითაა აშენებული. ქოხების გარშემო კი ხეებია, რომელთა წლოვანება 4 ათას წელს აღწევს და ასევე, მარილიანი წყაროები. რეიტინგის მესამე საფეხურზე იტალიაში, კერძოდ, ბოლონიაში მდებარე სასტუმროა. ეს შუასაუკუნეების კოშკის მსგავსი შენობაა, სადაც ერთ დროს ციხე იყო. რეიტინგის ტოპ-ათეულში მოხვდა სასტუმრო Qasr al Sarab – არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, რომელიც უდაბნოშია განთავსებული. მისი სავიზიტო ბარათი სიმდიდრე და ფუფუნებაა. ამის შემდეგ, რეიტინგში ტასმანიაზე მდებარე სასტუმრო Cradle Mountain Lodge მოდის. რეიტინგის ავტორების განცხადებით, აქ განსაკუთრებული სამყაროა, სადაც სიმდიდრე ველურ გარემოსთან მეზობლობს. სიაში შევიდა ხეზე დაკიდებული პატარა სახლებისგან შემდგარი სასტუმრო ვანკუვერში, ასევე, მდინარე ჰუძონზე მდებარე სასტუმრო ნიუ-იორკში და თურქულ კაპადოკიაში, კლდეში გამოკვეთილი სასტუმრო კომპლექსი.

ინტერნეტის მოყვარულები ხშირად ავადდებიან

ადამიანები, რომლებიც მეტად არიან დამოკიდებულნი ინტერნეტზე, სუსტი იმუნიტეტით გამოირჩევიან, ამტკიცებენ სწავლულები იტალიიდან. ისინი გვარწმუნებენ, რომ ასეთი ადამიანები ადვილად ავადდებიან ინფექციური დაავადებებით, კერძოდ, გრიპითა და გაციებით. ამის მიზეზად აპენინელი მედიკოსები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ მსოფლიო ქსელში მრვალი საათის გატარების მოყვარულები განმარტოებულები არიან და მათი იმუნური სისტემა დასუსტებულია. სხვა ადამიანებთან რეგულარული ურთიერთობის არქონის გამო, ასევე, სუფთა ჰაერზე გატარებული ძალიან მცირე დროის "წყალობით", ვირუსული დაავადებების განვითარების ალბათობა მათში საკმაოდ მაღალია. იტალიელიების ექსპერიმენტში 500 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 18-დან 100 წლამდე იყო. მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ გრიპითა და სურდოთი უფრო მეტად ის ადამიანები ავადობდნენ, რომლებიც ინტერნეტს ხანგრძლივად მოიხმარდნენ. ადამიანებში, რომლებსაც ამგვარი დამოკიდებულება არ აღენიშნებოდათ, დაავადების განვითარების შანსი 30%-ით ნაკლები იყო.

ასპირინი მხედველობას აზიანებს

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ის ადამიანები, რომლებიც რეგულარულად მოიხმარენ ასპირინს, უფრო ხშირად დგებიან თვალის დაავადების – ბადურას ასაკობრივი დეგენერაციის წინაშე, რაც სიბრმავეს იწვევს. ვისკონსინის უნივერსიტეტის სწავლულებმა ეს დამოკიდებულება აღმოუჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში, კვირაში ორჯერ მაინც იღებდნენ ასპირინს სისხლის გასათხელებლად, თრომბოზის პროფილაქტიკისთვის. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოს მოსახლეობის 1%, ადრე თუ გვიან, თვალის ამ პრობლემას აწყდება. 20 წლის განმავლობაში, მკვლევარებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში მათ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდათ. ამასთან, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში, ამ პრეპარატით მკურნალობა არ იწვევს მსგავს რისკს.

სტრესს ჭურჭლის რეცხვა მოგიხსნით

როგორც აღმოჩნდა, ეს უბრალო და მარტივი საოჯახო საქმე დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. კერძოდ, ჭურჭლის რეცხვა ხსნის სტრესს და ამშვიდებს ადამიანს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სწავლულები, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან. მათ ექსპერიმენტში მონაწილე მოხალისეებს შესთავაზეს, ჩუმად გაერეცხათ ჭურჭელი და მაქსიმალური კონცენტრაცია მოეხდინათ ამ პროცესზე. ყველაზე გულმოდგინე მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ნერვოზი და სტრესი მნიშვნელოვნად მოეხსნათ. ფსიქოლოგი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თეფშების რეცხვა ადამიანს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდეს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს, დააკვირდეს თავს გვერდიდან, ვინმეს განსჯისა და თვითანალიზის გარეშე. ეს პროცესი უფრო აწყნარებს და ამშვიდებს ადამიანს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.